ბათი 1919 წ. მაისის 6 № 96
წელიწადი მეხუთე

სამშაბათი 1919 წ. მაისის 6 № 96
ფასი 1 მან. და 50 კ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

კონტორა

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირს 90 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 30 მანეთი. ცალკე № 1 მ. 50 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 30 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 5 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

ჩვენი გაზეთის კანტორასთან დაარსდა „საქართველოს“ რედაქციის ფონდი.
დაეხმარეთ ფონდის გაძლიერებას.

გულდათუთქული არასტასია ზურაბის ასული, ნიკოლოზ ივანეს ძე და ტარიელ დავითის ძე კეზელნი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველნი ძვირფასს ძმის წულის და უკანასკნელი დაუვიწყარ ძმის

გიორგი დავითის-ძის კეზელისა

უერაგულად მოკლულს სამსახურის ასრულების დროს თიანეთის მაზრაში 2 მაისს. დაკრძალვა ქ. დუშეთში, ოთხშაბათს 7 მაისს, საგვარეულო აკლდამაში.

სახელმწიფო თეატრი
საოპერო დასი ს. ი. ევლახიშვილისა
დღეს, 6 მაისს წარმოდგენილი იქნება
ტრუბადური
მონაწილეობენ: ალეშკო, სპიტკო, პოლიაევი, მარკოვი.
მაისს „აბესალომ და ეთერი“, 8 მაისს ე. ვრონსკის იუბილე „ევგენი ონეგინი“, 9 მაისს „თქმულება შოთა რუსთაველზე“, 10 მაისს „თაისი“.

დამხმარებელ საზოგადოების „დახმარება“ გამგეობა ამით აუწყებს ამ საზოგადოების წევრთა, რომ წევრთა

საზოგადო კრება

დანიშნულია კვირას, მაისის 18-ს, დილის სწორედ 11 საათზედ, სამეურნეო საზოგადოების დარბაზში. კრების წეს-რიგი: 1) 1918 წ. ანგარიში და მოგების განაწილება: 2) 1919 წ. ხარჯთ-აღრიცხვა და 3) მორიგი საქმეები. მოსაწვევი ბარათები არავის გაეგზავნება იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული კრება 18 მაისს არ შესდგა, მეორე კრება გაიმართება 25 მაისს, საღამოს 7 საათზედ, იმავე შენობაში, რომელიც კანონიერად ჩაითვლება მიუხედავად დამსწრეთა რაოდენობისა. ანგარიში ტექნიკურ დაბრკოლებათა გამო არ იბეჭდება, მაგრამ ყველა წევრს შეუძლიან საზოგადოების კონტორაში წინასწარვე გაეცნოს საზოგადოების საქმეებს. გამგეობა.

(2—2358—1)

მოიკითხეთ ყველგან
კოოპერატიული ნაწარმოები „ქიზიყის“ ქარხნის
საუკეთესო გემოვნების პაპიროსი საუკეთესო გემოვნების
„ამირანი“, „ალაზანი“, „კახეთი“, თუთუნი „ეთერი“, „გემო“ და სხვა.
ყიდვა შეიძლება ბითუმად და წვრილად აგრეთვე დაკვეთაც. მისამართი: თბილისი კიროჩნის ქუჩა № 21 მაღაზია ღიაა დილით 8 საათ. 2 ს.-დე და საღამოს 4 საათ. 7 ს.-დინ.
შ. მ. ნადირაშვილი. 2—2349—1

რესტორანი
ედემი
(ვერიზედ)
იყიდება თავის ავეჯეულობით
შეიძლება იჯარითაც გაიცეს. პირობების გაგება შეიძლება შემდეგი მისამართით: ოლღის ქუჩა № 81, 3—6 საათამდე.
2 2346—2

პარასკევს, 9 მაისს

ვახტანგ ღამბაშიძე

ქართულ კლუბში წაიკითხავს ლექციას:

„ცოტა რამ ევროპის თანამედროვე პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ“

ლექცია ბუნდოვანის სურათებით, დასაწყისი საღ. 8 საათზე.
(1 2354 1)

ქალაქ ქუთაისში
ალექსანდროვის და პუშკინის ქუჩის კუთხე (ცენტრში)
ქირავდება ბაღი
„ელიდი“
მთელი მოწყობილობით
პირობების გაგება შეიძლება წერილობით ქალაქ ხონში ჩხიკვიშვილთან და პირადათ ქალაქ ქუთაისში სასტუმრო „გრანდ ოტელში“.
6—2356—1

ახლად მოწყობილი სტამბა
„ხელოვნება“
ველიამინოვის ქუჩა № 20.
იღებს ყოველ-გვარ სასტამბო და საკაზმავ საქმეებს და გამოცდილ მუშათა ინიციატორობით ასრულებს სწრაფად და ხელოვნურად მეტათ დაკლებულ ფასებში.
საყურადღებოდ სოფლების წვრილ საკრედიტო ამხანაგობებს
სტამბა „ხელოვნებას“ აქვს დამზადებული ყოველნაირი ბლანკები წევრ. საკრ. ამხანაგობებისთვის: წლიური ანგარიშები, თვიური ანგარიშები, ხელწერილები და სხვა.
(25—51—5)

რადიკალ-დემოკრატიულ გლეხთა პარტიის დამფუძნებელი

კონფერენცია

მოწვეულია ქ. სიღნაღში 1919 წლის 18 მაისს, „ახალი კლუბის“ დარბაზში, დილის 10 საათზე.

დღიური წესრიგი:

I. წინასწარი მოხსენებები: 1. მოკლე ისტორია პარტიისა, 2. პარლამენტის ფრაქციის, 3. ყოფილ დროებით მთავარ კომიტეტის, 4. სიღნაღის სამაზრო კომიტეტის და 5. რაიონის ორგანიზაციების მოხსენებები. **II. საპროგრამო:** მიმდინარე მომენტი და ჩვენი პარტია, 2. მიწის საკითხი, 3. პროგრამის გადასინჯვა, 4. ჩვენი პარტია და სოციალიზმი, 5. პარტიის სახელწოდება, 6. ჩვენი დამოკიდებულება სხვა პარტიებთან. **III საორგანიზაციო:** 1. წესდება პარტიის წევრთათვის 2. წესდება ორგანიზაციებისთვის, 3. პროპაგანდისტთა ორგანიზაცია, 4. პარტიის წევრთა ურთი-ერთ დამხმარე ორგანიზაციები, 5. არჩევნები მთავარ კომიტეტისა.

კონფერენციის შემადგენლობა: 1. პარტიული ორგანიზაციები გზავნიან თითო წარმომადგენელს ორგანიზაციის სახელით; 2 გარდა ამისა, პარტიის წევრები ყოველ 50 კაცზე გზავნიან ერთ წარმომადგენელს (50-ზე ნაკლები ვიდრე 25-მდე მაინც ნორმად ითვლება; 3. როგორც სიღნაღის სამაზრო, ისე ყოფილ დროებითი მთავარ კომიტეტების ყველა წევრი ესწრება კონფერენციას გადამწყვეტი ხმით; 4. პარტიის ყველა წევრს აქვს სათათბირო ხმა კონფერენციაზე.

დროებით მთავარ კომიტეტის მაგიერ სიღნაღის სამაზრო კომიტეტი

შენიშვნა. რადგანაც ყოფილ დროებით მთავარ კომიტეტის მოქმედება ხშირად არ შეესაბამებოდა პარტიის პროგრამას და ზოგჯერ კიდეც ეწინააღმდეგებოდა მას, და რადგანაც მან მთელი ორი წლის განმავლობაში ვერ მოახერხა პარტიის დამფუძნებელ კრების მოწვევა, ამიტომ სიღნაღის სამაზრო კომიტეტმა, როგორც პარტიის უმრავლესობის ნებისყოფის გამომხატველმა, გამოაცხადა დროებითი მთავარი კომიტეტი გაუქმებულად და გადასწყვიტა მოეწვია ზემო აღნიშნული კონფერენცია. ს. ს. კ.

(3—2348—1)

მორიგი თვითნებობა

ის ხალხი, რომელიც ჩვენს ქვეყანას მართავს და განაგებს, დანგრევა-დამხობის მოციქული იყო ჯერ კიდევ გუშინ, ხოლო ტაციობის იდეოლოგიას სახელმწიფოს საშუალებებით დღესაც იცავს და აკანონებს. ბევრი დროა საჭირო, ვიდრე ამ ხალხის ტვინში კანონიერება და უფლების ნორმა დაიბინავებდეს და საზოგადო ცხოვრების მოწყობისა და დაცვის ნამდვილ ფაქტორებად გადაიქცეოდეს. მანამ კი ეს ხალხი, რომელიც ძალით გახდა „სახელმწიფო“ და მართველ ხალხად, ვერ მოიშლის თავის ნამდვილ ბუნების ველურ გამოვლინებას.

ჩვენი რესპუბლიკის მინისტრი, მინისტრის ამხანაგი, კომისარი თუ გვარდიელი დესპოტია თავის გუნებაში, პატარა თვითმპყრობელი მეფეა, რომლის გულისთქმას ვერავითარი სავალდებულო ნორმა ვერ შეაკავებს. ხელისუფლების გრადაცია წარხოცილია ჩვენს სახელმწიფოში, უფლების ხმა და ძალა მიწასთან გასწორებული. თითეული თავს დამოუკიდებელ ხელისუფლად წარმოიდგენს და იერარქიული თანამშრომლობა და კოორდინაცია შეუძლებლად არის გადაქცეული,— მოსპობილია თვით ძირეული ელემენტი სახელმწიფოებრივი ცხოვრების აღსაგებად.

თავ-თავის დროზედ ამ საერთო მოსაზრებათა მაილუსტრაციებელი ფაქტები პრესსაშიც გამოგვიტანია და პარლამენტის ტრიბუნაზედაც.

დღეს გვინდა საქართველოს სახელმწიფოებრივ წყობილება—სიმტკიცის მიმართ მოტყუებული ქართველი საზოგადოების ყურადღება ერთ ამგვარ მორიგ ფაქტზე მივაქციოთ. ფიცხლად, წმიდა მილიტარული სისწრაფით, ერთს მეფე-დესპოტს საქართველოს რესპუბლიკის სასამართლო პალატის უფროსი თავმჯდომარე ბ-ნი მ. მღვდლიშვილი თანამდებობიდან გადაუგდია; გაუუქმებია პალატის უფროსი თავმჯდომარის თანამდებობა და მისი კანცელარია. პატარა თვითნება მეფე-დესპოტმა სუვერენულად მთელი რევოლიუცია მოახდინა.

მიინიჭა უფლება, რომელიც არასოდეს, არც ერთ ქვეყანაში, არც ერთ რეჟიმის დროს, მინისტრს, მის ამხანაგს, თუ მთავრობას არა ჰქონია. სამართლის და მოსამართლის პრესტიჟის დაცვა—ამაღლება და მისი დაყენება გარეშე ყოველგვარი გავლენისა, უპირველესი საზრუნავი ყოფილა და იქნება საზოგადოებრივი სინდისისა.

ამაშია წინდი საზოგადოების მორალის განმტკიცების და გაჯანსაღების. ხოლო ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, პატარა მეფე-დესპოტი—იუსტიციის მინისტრის ამხანაგი ბ. ნ. ს. ჯაფარიძე—პირქვე ამხობს ყველა ხალხთა დროის უკეთილშობილეს ტრადიციას, ჰთელავს უფლებრივ ნორმათა და მოსამართლეობის შემეცნებას.

პალატის უფროს თავმჯდომარეს, ამ შემთხვევაში ბ-ნ მ. ან. მღვდლიშვილს, რომლის პიროვნული ღირებულება მოსამართლეობის ასპარეზზე ყველასათვის ცხადი და აშკარაა, პატარა დესპოტი ქუჩაში გაისვრის! ბ-ნმა ჯაფარიძემ შელახა საქართველოს სასამართლო და მისი მართლმსაჯულების სინდისი აღაშფოთა. ალბათ ჰფიქრობდა, რომ ეს უვნებლად ჩაუვლიდა და შეუმჩნეველი დარჩებოდა, როგორც მომხდარა ხოლმე სხვა შემთხვევებში. მაგრამ, საბედნიეროთ ქართველ საზოგადოებაში საღი სული და ზნეობა ხელშეუხები ყოფილა. საზოგადოების ყველა წრეებში, განურჩევლად მიმართულებისა, დიდი უკმაყოფილება გაამეფა სასამართლოს ასეთმა შეურაცხყოფამ და ბ-ნ მინისტრის ამხანაგის დესპოტურ თვითნებობით ყველა უაღრესად აჯანყებულია.

სასამართლოს დაუყოვნებლივ უნდა მოშორდეს ისეთი მინისტრის ამხანაგი, რომელმაც მისი ღირსება შელახა და ქვეყნის თვალში დაამცირა ქართველი მოსამართლე. ეს არის ერთად ერთი გამოსავალი, რომელიც დააკმაყოფილებს ქართველ სასამართლოს და აღშფოთებულ საზოგადოებას.

სკოლის რეორგანიზაციისათვის

6.

ფაქტია, რომ განათლების სამინისტრო ვერ გაუძღვა სიყვარულით და ენერგიულად ჩვენი სკოლების ოთხი კლასის გაეროვნებასაც. მან ვერ შეიტანა ამ ახალ და სერიოზულ საქმეში მწყობრი სისტემა და ერთგვარობა პედაგოგიურის მეთოდისა. ასეთი მოვლენა, ეჭვს გარეშეა, მისი მოღვაწეობის დიდ ნაკლს შეადგენს. მაგრამ უფრო წარმოუდგენელი და მოულოდნელი ის მოვლენა იყო, რომ მან ქართული ენაც, როგორც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საგანი, განსაკუთრებულ ყურადღების ღირსად ვერ გახადა. დროზე არ შეეცადა დაუყოვნებლივ და ენერგიულად იგი შესაფერ ნიადაგზე დაეყენებინა; კერძოდ მან ვერ შემოიკრიბა თავის გარშემო ქართული ენის და ლიტერატურის თეორიულად და პრაქტიკულად საფუძვლიანად მცოდნე პირნი და მათი მონაწილეობით და კოლექტიურის შრომით სასწრაფოდ ვერ გადასინჯა, ვერ შეავსო და ვერ გააფართოვა ქართული ენის პროგრამა ახალი დროისა და პირობების მიხედვით. მოსალოდნელი კი იყო, რომ სამშობლოს „ფინიქსებრ განახლების“ ხანაში მშობლიურ ენას გზა ფართოდ გაეშლებოდა, რომ ის ლაღად და შეუვიწროებლად კვლავ დაიწყებდა არსებობას და რომ მას, ახლად ფეხადგმულს დედინაცვლის ხელში ღონე მიხდილს, დარაჯ მსახურად მოყვარულ, მომზადებულ, მცოდნე და პედაგოგიკაში და ხელოვნებულ და ღირსეულ პირებს მიუჩენდნენ. ამას მოითხოვდა სასიცოცხლო ინტერესი მთელის უღელ-მოხსნილი ქართული სკოლისა!

რასაკვირველია, ფაქტიურად, რეალურად ასეთი ღირსეულ პირთა არჩევა-გამოძებნა ყველა სკოლისთვის, შეიძლება, ძნელი, თითქმის შეუძლებელიც, ყოფილიყო, მაგრამ მუხედავათ ამისა სამინისტრო მაინც მოვალე იყო მასწავლებლების არჩევის დროს ყოველთვის გარკვეულ, ობიექტიურ და სწორ პედაგოგიურ თვალსაზრისით ეხელმძღვანელა და თუ ცხოვრების სინამდვილე ამ დასახულ იდეალის minimum-ის განხორციელებას ვერ შეასრულებდა, მაშინ იგი არსებითად არ იქნებოდა დანაშაული ერისა და მის მოზარდ თაობის წინაშე. აქაც ამ საქმის წარმოება და ხელმძღვანელობაშიც, სამინისტროს არ ეტყობა საქმის ინტერესი; მან ვერ გამოიჩინა წინასწარ აწონილ აზომილი მოქმედების უნარი. იგი აქაც ვერ ხელმძღვანელობს საღ პედაგოგიკის ელემენტარულ მოთხოვნილებათა მიხედვით და გარკვეულ-შეგნებული ეროვნული თვალსაზრისით. ყოველივე ამას კი ის შედეგი მოჰყვა, რომ დღეს-დღეობით სახელმწიფო ენის სწავლება სკოლებში მოუმზადებელ, ეროვნულ თვალსაზრისით უმეცარ და საგნის უცოდინარ პირთა ხელშია და ბევრგან მისი მდგომარეობა და არსებობა ტრაგი-კომიკურია!

არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ დღეს საქართველოში ბევრი იმისთანა ასწავლის ქართულ ისტორიას, რომელსაც „ქართლის ცხოვრება„ არ წაუკითხავს და კიდეც რომ წაეკითხის, იმდენი მომზადება არა აქვს ქართულ ენაში, რომ გაიგოს და რომელთაც ქართულ ისტორიოგრაფიის ალფა და ომეგად ქვარიან-ფურაძის ისტორია მიაჩნიათ. სავალალოა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ბევრს ქართულ სიტყვიერების მასწავლებელიც არამცთუ საფუძვლიანად არ იცნობს ჩვენს ძველ მწერლობას, ბევრი ახალ დროის მწერლების ნაწერები ხელშიც არ აუღია (ისიც, რაც გამოცემულია), რომ ახალ მწერლობის შესახებ მათი ცოდნა ხახანაშვილის სახელმძღვანელოს არ გასცილებია და რომ მთლათ არამცთუ ჩვენი მეორე ხარისხოვან მწერლების ჩვენი კლასიკოსების ილია დ აკაკის ნაწარმოებებიც მთლიანად არ წაუკითხავთ! დაუჯერებელია, მაგრამ ისიც უტყუარი ფაქტია, რომ ხშირად ქართულ ენის და სიტყვიერების მასწავლებლები პროვინციალურის კილოთი და გამოთქმით—ქვემო იმერულ, მეგრულ-გურულ აქცენტით უხსნიან გაკვეთილს, ესაუბრებიან შეგირდებს, რაც უკანასკნელებში სიცილს და ჩუმ ოხუნჯობას იწვევს!

შესაძლებელი და წარმოსადგენია რომელიმე სხვა ერში ასეთი აბუჩად აგდება, ასეთი პროფანაცია უდიდეს ეროვნულის საქმისა?

დარწმუნებული ვართ, რომ ასეთი სამწუხარო მარცხი ყოფილ სამინისტროს მხოლოდ დაუფიქრებლობით მოუვიდა. როდესაც ვინმეს თითონ ქართულ ენის მასწავლებლად ნიშნავდა, ან მხოლოდ ამტკიცებდა პედაგოგიურ საბჭოებისაგან წარმოდგენილ კანდიდატებს, მაშინ ის უმთავრესად სწავლის ცენზს აქცევდა ყურადღებას: თუ კანდიდატი უმაღლეს ცენზიანი იყო, უნივერსიტეტში და ინსტიტუტებში მიეღო განათლება, მაშინ იგი, მისის აზრით სასურველი და საჭირო პირი იყო და დაუბრკოლებლივ ამტკიცებდა ქართულ ენის და სიტყვიერების კათედრაზე. მაგრამ თუ საშუალო სასწავლებელი ჰქონდა გათავებული ან სულ უდიპლომო იყო (ასეთებიც არიან ჩვენში კარგი მცოდნე ქართულისა) კანდიდატი, უკანასკნელს საზოგადოდ პროგიმნაზიულ კლასებში ნიშნავდა (ხანდიხან, რასაკვირველია, გამონაკლისიც იყო).

ერთის სიტყვით, ჩვენი სამინისტრო ხელმძღვანელობდა რუსეთში მიღებულ კრიტერიუმებით და პრინციპებით. როგორც ბევრ სხვა რამეში, იგი უკრიტიკოდ მისდევდა რუსულ ბიუროკრატიულ სკოლის ტრადიციას.

უკანასკნელი ცნობები

ფიუმეს ეროვნულმა საბჭომ მთელი მმართველობა იტალიას გადასცა.

ჰინდენბურგმა სამსახურს თავი დაანება.

პოლონელები პოზნანში გერმანულ მოსახლეობას ავიწროებენ.

იტალიის პარლამენტმა თითქმის ერთხმად ორლანდოს ნდობა გამოუცხადა.

პოლონეთი გერმანიის საზღვრებზე ჯარებს აგროვებს.

კოლჩაკის წინააღმდეგ ბოლშევიკებმა შეტევა განაახლეს და 5000 ტყვე წაიყვანეს.

საქარ. მთავრობამ უარჰყო რეიტერის სააგენტოს ცნობა, რომელიც საქართველოს და ოსმალეთის კავშირის ეხებოდა.

სამინისტრო ვერ გაერკვა, მან ვერ გაითვალისწინა, თუ რა გვარ სინამდვილესთან ჰქონდა საქმე. მას ალბად დაავიწყდა, რომ სწორედ ქართველ „დიპლომიანებს“ არ მიუღიათ და ვერც მიიღებდათ სწავლა-განათლებას ეროვნულს ნიადაგზე, რომ იმ სასწავლებლებში რეალური და კლასიური გიმნაზიებში.—სადაც ისინი სწავლობდნენ, ქართული ენა აბუჩად იყო ყველასაგან აგდებული, სამოსწავლო საგნებში მას ყველაზე უკანასკნელი ადგილი ეჭირა და რომ ამ ფაქტს, სავალალოდ, თითქმის უპროტესტოდ შერიგებოდა გიმნაზიელები და მათ მშობლების გრძნობა-გონება.

ასეთს გადაგვარების ატმოსფერაში გაზრდილი გიმნაზიელი რუსეთშიაც ვერ იკმაყოფილებდა გვიან გაღვიძებულ სამშობლო ენის და ლიტერატურის ცოდნის წყურვილს და რამოდენიმე წლის შემდეგ უბრუნდებოდა სამშობლოს სრულებით უვიცი მშობლიურ ლიტერატურასა და ისტორიაში.

თავის თავად ცხადია, რომ ასეთნი პირნი ვერ შეძლებდნენ იმ საქმის ალსრულებას, რომლის შესახებ მათ ზერელე ცოდნაც არ ჰქონდათ. სამინისტრომ კი სწორედ ამ პირებისაგან მოისურვა შეექმნა საჭირო კადრი ქართულ ისტორიის, ენის და სიტყვიერების მასწავლებლებისა. აი ამაშია მისი მარცხი და გაუმართლებელი შეცდომა.

ქართულ ენის და მწერლების მცოდნე პირნი კი დღესაც საკმარისად არიან ჩვენში, მაგრამ იგინი სხვაგან, სხვა წრეებში და სხვა ასპარეზზე, უნდა იქმნენ მოძებნილნი.

იპ. ვართაგავა.

ბ. მღვდლიშვილის დათხოვნა სამსახურიდან

3 მაისს იუსტიციის სამინისტროში გამოვიდა შემდეგ შინაარსის დადგენილება:

„1919 წ. მაისის 3 დღისა საქართველოს პარლამენტის 1918 წ. 5 ივლისის კანონის ძალით სასამართლო პალატის შტატების შემცირების შესახებ (კანონთა კრებული 1918 წ. № 10) ვადგენ:

1) გაუქმდეს თბილისის სასამართლო პალატის უფროსი თავმჯდომარის თანამდებობა და მთელი მისი კანცელარია, გარდა მდივნისა ამა წლის 4 მაისიდან;

2) ხსენებულ პალატის რეორგანიზაციის მოხდენამდე თავმჯდომარის მოვალეობის ასრულება გადაეცეს ამავე პალატის სამოქალაქო დეპარტამენტის თავმჯდომარეს;

3) შტატ გარეშე დატოვებულ იქმნენ უფროსი თავმჯდომარე და მისი კანცელარიის მოხელენი, გარდა მდივნისა, სალიკვიდაციო ფულის მიცემით. იუსტიციის მინისტრის ამხანაგი ს. ჯაფარიძე“.

არავინ არ უნდა იყოს იმის წინააღმდეგი, რომ მოსამსახურეთა შტატები შემცირებულნი იყვნენ ყველგან, საცა ეს არ ავნებს საქმის ინტერესს, სხვათა შორის—სასამართლო პალატაშიაც, მეტადრე მის შემდეგ, რაც დაარსდება სენატი, სადაც გადავა ბევრი ისეთი საქმე, რომელსაც დღეს-დღეობით პალატა უძღვება. მაგრამ შტატების შემცირება უნდა მოხდეს ნორმალურად, კანონიერების ფარგალში. კანონიერება კი ხსენებულ ბრძანებაში უაღრესად შელახულია.

1) წინად მთელს კავკასიაში იყო ერთად-ერთი სასამართლო პალატა, რომელსაც ექვემდებარებოდნენ ყველა ამიერ და იმიერკავკასიის საოლქო სასამართლოები, და ამის მიხედვით, თვით პალატის კონსტრუქციაც რთული იყო, მას დიდი მოსამსახურეთა შტატი ჰყავდა. მას შემდეგ, რაც კავკასია დაიყო რამდენიმე დამოუკიდებელ ერთეულებად, და საქართველო განთავისუფლდა, რასაკვირველია, არავითარ საჭიროებას აღარ წარმოადგენდა, რომ ეს უზარმაზარი შტატი დარჩენილიყო. ამიტომ იუსტიციის მინისტრმა ბ. ალექსი მესხიშვილმა, საქართველოს ეროვნულ საბჭოს 5 ივლისის დადგენილებით, შეამცირა პალატის შტატები, და სამსახურიდან დაითხოვა 4 დეპარტამენტის თავმჯდომარე, 20 პალატის წევრი, 4 მდივანი, 10-ზე მეტი მდივნის თანაშემწე და სხვა. ექვსი დეპარტამენტიდან მან დასტოვა მხოლოდ ორი.

ამ გვარად, მინისტრმა უკვე შეასრულა ეროვნულ საბჭოს ხსენებული დავალება, რომელსაც ჰქონდა არაზოგადი, ზედროული ხასიათი. არამედ გამოცემული იყო კონკრეტულ შემთხვევისთვის, ad hoc.

ჩვენ ამიტომ უსაფუძვლოდ მიგვაჩნია ბ. ჯაფარიძის მტკიცება, ვითომ მისთვის საქართველოს ეროვნულ საბჭოს 5 ივლისს 1918 წ. მიერ მიენიჭებინოს უფლება, რათა მას შეემცირებინა თბილისის სასამართლო პალატის შტატები.

ეს კონკრეტული დავალება თავის დროზე ასრულებული იყო და იგი დღევანდელ ვითარებისათვის ნავარაუდევი არც ყოფილა.

თუ ეხლა ხელმეორედ წამოიჭრა შტატების შემცირების საკითხი, ჩვენ დამფუძნებელ კრებას მინისტრი კვლავ უნდა ალეჭურვა სათანადო უფლებით, ვინაიდან ეს საგანი ალემატება უკანასკნელის კომპეტენციას.

დამფუძნებელ კრებას არ მიუცია ასეთი უფლება მინისტრისთვის, და, მით უმეტეს, მის ამხანაგისათვის, და ამიტომ ბ. ჯაფარიძეს ვერც შეეძლო თავის ნებით გაეუქმებინა შტატები.

2) ყოველი სასამართლო პალატა აწ არსებულ წესდების ძალით, განიყოფება რამდენიმე დეპარტამენტად, თითო დეპარტამენტში არიან: თავმჯდომარე და რამდენიმე წევრი. დეპარტამენტების საერთო კრებაზე თავმჯდომარეობს ამ საქმისთვის დანიშნული ერთ-ერთი დეპარტამენტის თავმჯდომარე, რომელიც ითვლება პალატის უფროსს თავმჯდომარედ. ამისდა მიხედვით, თბილისის სასამართლო პალატაში ორი დეპარტამენტია: სამოქალაქო და სისხლის სამართლისა.

ამ უკანასკნელ დეპარტამენტის თავმჯდომარე ბ. მღვდლიშვილი იმავე დროს იყო პალატის უფროს თავმჯდომარედ.

წარმოვიდგინოთ, რომ კანონიერია ბ. ჯაფარიძეს მიერ ამ თანამდებობის ასე იოლად გაუქმება; აქედან ლოღიკურად ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ ბ. მღვდლიშვილი დაანებებდა თავს ამ თანამდებობას, ხოლო ის უნდა დარჩენილიყო სისხლის სამართლის დეპარტამენტის თავმჯდომარედ. მაგრამ ბრძანების მესამე მუხლში სწერია: „შტატ გარეშე დატოვებულ იქმნენ უფროსი თავმჯდომარე და მისი კანცელარიის მოხელენი სალიკვიდაციო ფულის მიცემით“.

ვინაიდგან წარმოუდგენელია, რომ ერთი პიროვნება ერთ და იმავე დაწესებულებაში მსახურებდეს კიდეც და შტატს გარეშეც იყოს, ამიტომ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ბ. მღვდლიშვილი დათხოვნილია სამსახურიდგან აგრეთვე როგორც დეპარტამენტის თავმჯდომარეც. რა უფლებით? ყოფილ რუსეთის, ამიერ კავკასიის და საქართველოს კანონებში არ მოიძებნება არც ერთი მუხლი, რომელიც ანიჭებს უფლებას იუსტიციის მინისტრის ამხანაგს სამსახურიდან დაითხოვოს სასამართლო პალატის დეპარლამენტის თავმჯდომარე.

3) ბრძანების მეორე მუხლი მოგვითხრობს: „თავმჯდომარის მოვალეობის ასრულება გადაეცეს ამავე პალატის სამოქალაქო დეპარტამენტის თავმჯდომარესა“-ო.

წინად უფროს თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებდა სისხლის სამართლის დეპარტამენტის თავმჯდომარე ბ. მღვდლიშვილი, ეხლა იმავე მოვალეობის ასრულება დაევალა სამოქალაქო დეპარტამენტის თავმჯდომარეს, მერე? თითქო შტატი შემცირებულიაო? თუ ბ. მღვდლიშვილი გადაყენებულია სამსაგურიდან იმიტომ, რომ თვით თანამდებობა აღარ არსებობსო, სხვისთვის ეს თანამდებობა ეხლა არსდება, გინდაც დროებით? რას ნიშნავს ეს? ვისთვისაა საჭირო ამგვარი მასკარადი?

4) ბ. მღვდლიშვილს არავითარი თხოვნა არ შეუტანია მთავრობაში სამსახურიდან გადადგომის შესახებ; არც არავის გაუფრთხილებია ის იმაში, თუ რა სიურპრიზი მოელოდა მას 3 მაისს. ამიტომ ბ. მღვდლიშვილის სამსახურიდან დათხოვნა მოულოდნელი იყო ყველასათვის, და, უპირველეს ყოვლისა, თვით მისთვის. ყოფილ თვითმპყრობელ რუსეთის იუსტიციის ისტორიას არ ახსოვს ამგვარი მაგალითი. თვით ბ. მღვდლიშვილმა ბევრი ბრძოლა გამოიარა ცნობილ რეაქციონერებთან: ლაგოდასთან, შჩეგლოვიტოვთან. მათ მას ვერაფერი დააკლეს. და ეხლა კი მოხუცებულობის დროს რას მოესწრო იგი თავის სამშობლო ქვეყანაში, ისიც დემოკრატიულ რესპუბლიკაში? 11 წლის მოსამსახურე გოგოს არავინ არ გააგდებს სახლიდან ისე, როგორც უპატიოთ დაითხოვეს სამსახურიდან საქართვნლოს სასამართლო პალატის უფროსი თავმჯდომარე!

წინადაც, ძველ რეჟიმის დროს, ბევრი ვერ ინელებდა მოსამართლის შეუცვლელობას. („несмѣняемость“), ებრძოდნენ ამ იდეას. ასეთები იყვნენ დასახელებული რეაქციის დევგმირები: ლაგოდა, შჩეგლოვიტოვი. მაგრამ მათაც არ მოსვლიათ აზრად, რომ ასე აბუჩად აეგდოთ მოსამართლე, ასე გაეცამტვერებინათ იგი, შეელახათ მისი ადამიანური ღირსება. ეს ყველასათვის ახალი ხილია. მართლდება ჩვენი ხალხური ანდაზა: „ჭირს მოგცემ, ჭირს დაგავიწყებო“.

5) დღეს იურიდიულ აქსიომადაა მიჩნეული, რომ სასამართლოს ავტორიტეტისთვის საჭიროა, რათა ყოველი მოსამართლე და აგრეთვე საზოგადოებაც დარწმუნებულნი იყვნენ იმაში, რომ მოსამართლეს გადაყენება არავის არ შეუძლია, რომ ის პასუხს აგებს მხოლოდ სასამართლოს და კანონის წინაშე. და იმ ექსპერიმენტის შემდეგ კი, რომლისმე სხვერპლიც გახდა საქართველოს ყველაზე უფროსი, პირველი მოსამართლე, როგორ უნდა გრძნობდნენ თავიანთ თავს დანარჩენი მოსამართლენი? და ან რა ავტორიტეტი უნდა ჰქონდეს მასსის თვალში იმისთანა მოსამართლეებს, რომლებსაც ჭანდრაკის კოჭებისავით ათამაშებენ გინდაც მინისტრის ამხანაგები?

მრავალთაობის მუშაობას შეუქმნია და გამოუჭედია სამართლის მსახურთა უმწიკვლო ტრადიცია. ამით ჩვენ ვამაყობთ, ვხარობთ. მის შელახვის უფლება არავის არა აქვს:

იასონ ჯავახიშვილი.

საქართველოს მთავრობის პროტესტი

თბილისი, მაისის 3 ოფიციალურად.

ქართველ ხალხს ერთ ახალ ცილს კიდევ სწამებენ: რეიტერის სააგენტოს აპრილის 27-ის ბიულეტენებში გამოცემულია ცნობა, რომ ვითომ მომხდარიყოს ახალი გამოაშკარავებანი ომში ოსმალეთის ჩარევის შესახებ. ამასთანავე იუწყებიან, რომ ვიდრე ოსმალეთი ომს გამოაცხადებდა, ვითომ ენვერ-ფაშას ხელშეკრულება დაედოს საქართველოსთან კავკასიაში სამხედრო მოქმედების შესახებ, რითაც აიხსნება ის გარემოება, რომ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით საქართველოს ეძლეოდა მნიშვნელოვანი ოსმალეთ-საქართველოს კონცესიები. საქართველოს მთავრობა ყველას წინაშე დაუფარავათ აცხადებს, რომ ეს ცნობა თავიდან ბოლომდე ბოროტი სურვილით შექმნილი უსასიზღრესი ცილის წამებაა და ქართველ ხალხს აწერს ისეთ უპასუხისმგებლო პირთა ერთი ჯგუფის გამოსვლას, რომელთაც ქართველ ხალხთან არაფერი საერთო არა ჰქონდა წარსულში და არც ეხლა აქვთ. მოღალატეობას აბრალებენ ქართველ ხალხს, იმ ხალხს, რომელმაც გერმანია-ოსმალეთის კოალიციის უაღრესი ბატონობის დღეებში უარი განაცხადა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებაში მონაწილეობაზე. მიუხედავად იმისა, რომ მას მრავალ სარგებლობას პირდებოდნენ, სწორეთ იმ ხალხს, რომელმაც გარკვევით უარი სთქვა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების აღიარებაზე. მას შემდეგ, რაც მას ხელი მოაწერეს, იმ ხალხს, რომელმაც მთელი თავისი ძალები საქართველოში შემოჭრილ ოსმალთა ბრბოების საწინააღმდეგოდ მიმართა, რომელმაც თავისი საუკეთესო შვილები ბათუმის დასაცავად გაგზავნა და მდ. ჩოლოქზე ოსმალეთის ჯარის მთელი დივიზია გაანადგურა, იმ ხალხს, რომლის საუკეთესო წარმომადგენლები მედგრად შეებრძოლენ შემოსეულ ოსმალებს, და აი ამ ხალხს საზიზღარ ცილს სწამებენ მოღალატეობაში, და ისიც ისეთი წყაროს საშუალებით როგორიცაა რეიტერის სააგენტო, რომლის ცნობების ჭეშმარიტებათ მიღებას ჩვენ მივეჩვიეთ. საქართველოს მთავრობა კიდევ აცხადებს, ეს ცნობა თავიდან ბოლომდე გამოგონილია, და პროტესტს აცხადებს ასეთი გამოსვლების გამო, რომელთა მიზანია დაუმსახურებლად ჩირქი მოსცხონ ქართველ ხალხს მთელი ქვეყნის წინაშე.

დამფუძნებელ კრების გარშემო

შეკითხვები.

ერ.-დემ. ფრაქციის დავალებით დამფუძნებელ კრების წევრმა გ. გვაზავამ გუშინ დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმში შეიტანა შემდეგი შეკითხვები:

1. როგორც გაზეთებიდან სჩანს, მთავრობამ დაადგინა: „ძეგვის ხიდის ამფეთქებლებს, შმაგაილოვს და კუჩარიანცს, შეეცვალოს სიკვდილით დასჯა—12 წლის კატორღითო“.

იცის თუ არა მთავრობამ, რომ შეწყალების უფლება შეადგენს დამფუძნებელ კრების პრეროგატივას და, თუ იცის, რითი აიხსნება მისაკუთრება ამ უფლებისა მთავრობის მიერ?!

2. იცის თუ არა მთავრობამ, რომ შმაგაილოვი, კუჩარიანცი და მათთან სამი თუ ოთხი სხვა დამნაშავე, რომელთაც ძალაში შესულ განაჩენების თანახმად სასჯელი უნდა მოეხადათ—იუსტიციის მინისტრის განკარგულებით სრულებით გაუნთავისუფლებიათ და ციხიდან გამოუშვიათ? და თუ იცის, რა ზომის მიღებას აპირებს იგი ამ დანაშაულის წინააღმდეგ?!

3. იცის თუ არა მთავრობამ, რომ სასამართლო პალატის უფროსი თავმჯდომარე, ბ. მიხ. მღვდლიშვილი, იუსტიციის მინისტრის ამხანაგს თანამდებობიდან გადაუყენებია და თუ იცის, რა ზომის მიღებას აპირებს იგი თვითნებობის წინააღმდეგ?!

შმაგაილოვ-კუჩარიანცის განთავისუფლება

ინგლისის მისიის მოთხოვნით საბოლოოდ შეწყვეტილ იქმნა საქმე ცნობილ ამფეთქებლების ჯუნკოვსკისა, დეგტიაროვის, ალექსანდროვის, კუჩარიანცის და შმაგაილოვისა. შმაგაილოვი და კუჩარიანცი, რომელთაც ძეგვის ხიდის აფეთქების გამო მისჯილი ჰქონდათ სიკვდილით დასჯა და ამას წინად თორმეტი წლის კატორღით შეეცვალათ, ორ მაისს გაანთავისუფლეს.

ქრონიკა

◆ **ქართველ მხატვართა გამოფენა** კვირას 4 მაისს ნაშუადღევის 2 საათზე რუსთველის პროსპექტზე „დიდების ტაძარში“ გაიხსნა ქართველ მხატვართა ნაწარმოებთა გამოფენა. პირველ დღეს შესასვლელი ფასი იყო 25 მ. გამოფენა პირველ დღესვე 1000 სულზე მეტმა ინახულა· გამოფენის გახსნას დაესწრნენ მთავრობისა და დამფუძნებელი კრების წევრები, სხვა სხვა და სხვა კულტურულ და სამხატვრო საზოგადოებათა წარმომადგენელნი. თბილისში მყოფ მისიათა წარმომადგენელნი და სხ..

◆ **ბ-ნ მღვდლიშვილის თანამდებობიდან გადაყენება.** იუსტიციის მინისტრის განკარგულებით თბილისის სამოსამართლო პალატის თავმჯდომარე მღვდლიშვილი თანამდებობიდან გადააყენეს. პალატის თავმჯდომარის თანამდებობის ასრულება დროებით, სისხლის სამართლის დეპარტამენტის თავმჯდომარე—ლემერსანს მიანდო.

◆ **რ. ჩიხლაძის დაკრძალვა.** კვირას 4 მაისს თბილისში კუკიის სასაფლაოზე დაკრძალეს დამფუძნებელ კრების წევრი რ. ჩიხლაძე. დაკრძალვას დაესწრნენ მთავრობისა და დამფუძნებელ კრების წევრები. ცხედარი სახლიდან გამოასვენეს და სასახლესთან მიასვენეს, აქ სიტყვები წარმოსთქვეს კ. ჯაფარიძემ და არსენიძემ· აქედან განსვენებული კუკიის სასაფლაოზე წაასვენეს. აქ სიტყვები წარმოსთქვეს ის. რამიშვილმა, ს. მდივანმა და სხვა და სხვა ს.-დ. ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. სიტყვები 3 საათამდე გაგრძელდა.

◆ **თბილ. აბნოების თვითმართველობაზე გადაცემისთვის.** ამ დღეებში შესდგა ქალაქის საბჭოს ბალნეოლოგიურ კომისიის სხდომა, რომელზედაც დაადგინეს ეთხოვოს ქალაქის გამგეობას იშუამდგომლოს მიწათ მოქმედების მინისტრის წინაშე, რათა შესდგეს საუწყებათაშორისო კომისია, რომელიც განიხილავს თბილისის მინერალურ აბანოების ქალაქის თვითმართველობისადმი გადაცემის საკითხს.

◆ **თბილისის აბანოების იჯარით გაცემა.** შაბათს დამთავრდა თბილისის მინერალურ აბანოების იჯარით გაცემა. ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღო 72 კაცმა. ყველა აბანოები 1,020,336 მანეთის იჯარით გაიცა.

◆ **არდაგან შავშეთის ლტოლვილთა წასვლა.** გუშინ საღამოს თბილისიდან საგანგებო მატარებლით წავიდნენ ბათუმით არდაგანისა და შავშეთის ლტოლვილები.

◆ **ყარსის ლტოლვილთა წასვლა.** პირველი მატარებლით, რომელიც ამ დღეებში გავიდა ყარსისაკენ წავიდნენ ლტოლვილები, სომეხი—2,000 კ. ეზედები—200 და რამოდენიმე რუსი.

◆ **პური სომეხ ლტოლვილთათვის** სომხეთის მზრუნველობის სამინისტროს რწმუნებულმა საქართველოში მოაწყო სომეხ ლტოლვილთათვის პურის დარიგების საქმე. კანადის პური ურიგდებათ თბილისიდან მე 300 ვერსზე მყოფ სომეხ ლტოლვილებს სამი მეოთხედი გირვანქა სულზე.

◆ **ლტოლვილები თელავიდან-თბილისში** გუშინ თელავიდან თბილისში ყარსის ლტოლვილები ჩამოვიდნენ. ამ დღეებში მათ ყარსის ოლქში გაგზავნიან.

◆ **სურსათი ახალქალაქის ლტოლვილთ** სომხეთის მზრუნველობის სამინისტროს წარმომადგენლის(საქართველოში) რწმუნებული ახალქალაქიდან დეპეშით იტყობინება რომ 8000 ფუთი ხორბალის და 2000 ფუთი კარტოფილის ლტოლვილთა შორის განაწილება უკვე დაუწყიათ.

◆ **სანიტარული მდგომარეობა მე-300 ვერსზე.** თბილისის ქალაქის თვითმართველობამ ყურადღება მიაქცია თბილისიდან მე 300-ე ვერსზე ანტისანიტარულ მდგომარეობას და შესაფერი ზომები მიიღო სისუფთავის დასაცავად.

◆ კვირას, მაისის 11-ს, დღის 12 საათზე, ქართულ სამეურნეო ბანკის დარბაზში (სასახლის ქ.) დანიშნულია ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების რწმუნებულთა მორიგი კრება.

განსახილველი საგნები: 1) საზოგ. მთავარი გამგეობის 1918 წ. მოქმედების ანგარიში. 2) გამგეობის მოხსენება აკაკი წერეთლის ნაანდერძევი უძრავი ქონების მიღების შესახებ. 3) გამგეობის მოხსენება საზოგადოების მომავალი სამოქმედო გეგმაზე.

◆ **26 მაისის გარშემო.** დამფუძნებელი კრების სამუსიკო კომისია იწვევს ყველა ქართველ მომღერალ ქალვაჟთ, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს 26 მაისის სადღესასწაულო გუნდში წინდაწინვე გამოცხადდენ და ჩაეწერონ სახელმწიფო თეატრში, 7 მაისამდის, რის შემდეგ სიები დაიხურება და გუნდში არავის მიიღებენ.

◆ **სასამართლოს კრება.** დღეს, დილის 12 საათზე, თბილისის საოლქო სასამართლოს შენობაში დანიშნულია კანდიდატების, მომრიგებელ მოსამართლეთა და საოლქო სასამართლოს წევრთა საერთო კრება. დღის წესრიგია: ბ. მღვდლიშვილის სამსახურიდან დათხოვნა.

◆ **არქეოლოგიურ და გეოგრაფიულ საზოგადოების კრება.** დღეს, საღამოს 7 საათზე, კავკასიის მუზეუმის დარბაზში (ლორის-მელიქის ქუჩა 10) შესდგება შეერთებული კრება არქეოლოგიურ საზოგადოებისა და გეოგრაფიულ საზოგადოების ეთნოგრაფიულ სექციისა. მოხსენებები: 1) ლეონ მელიქსედ-ბეგისა „ვარდობა ძველ საქართველოში“, და 2) გრიგოლ ჩურქინისა—„ნატიფიანი სადღესასწაულო ნამცხვარნი კავკასიის ერთა შორის“.

◆ **საქართველოს წითელ ჯვრის** საზოგადოების ქალთა კომიტეტი ამით აცხადებს წევრთა საყურადღებოდ, რომ სამშაბათს, მაისის 6 საღამოს 7 საათზე, ყოფილ კადეტთა კორპუსის შენობაში დანიშნულია წევრთა კრება. პრეზიდიუმი სთხოვს ყველა წევრებს, რომ აუცილებლად დაესწრონ ამ კრებას.

სხვა და სხვა ამბები

◆ **ქურდობა.** 4 მაისს, ღამით [illegible] მელიქ-შახნაზაროვის ბინიდან ([illegible] ბრმა ქუჩა № 4) ბოროტ-მო[illegible] 12000 მ. ღირებული მანუფა[illegible] საქონელი მოიპარეს.

◆ **სიკვდილით დასჯა.** ქ[illegible] საგანგებო სასამართლომ მ[illegible] მეფარიშვილს, რომელსაც კ[illegible] თანაშემწის—ლაჩნავას მოკვლა ბრა[illegible] ედებოდა, სიკვდილით დასჯა მ[illegible]

◆ **ქურდობა.** 3 მაისს ღამით [illegible] ლაუნდენ-შახის სარდაფიდან ([illegible] ბედის ქ. № 126) ბოროტმოქ[illegible] 90,000 მან. ღირებული სხვა და [illegible] ძვირფასი ნივთები მოიპარე[illegible] დააპატიმრეს მეეზოვე ცოლში[illegible]

◆ **დატუსაღება.** 4 მაისს ღ[illegible] „ზემელის“ აფთიაქის პირდაპ[illegible] ლიციელთა რაზმმა შეიპყრეს ბ[illegible] გამზრახველნი პოდპ. ე. მიხე[illegible], გულიაევი და მ. ვინოსინსკი. [illegible] ვეს სხვა და სხვა საპარავი ი[illegible] მენტები.

კრებები და ყრილობები

ამიერ-კავკასიის კოოპერატ[illegible] ლობათა საბჭო ამით აუწყ[illegible] კავკასიის და საქართველ[illegible] კოოპერატივებს (როგორც მ[illegible] ბელთა, აგრეთვე საკრედიტო [illegible] კოოპერატივებს), რომ 23 მ[illegible] თბილისში შესდგება კოოპე[illegible] ყრილობა საქართველოს კოოპ[illegible] ვებისა და 25 მაისს, ქ. თბ[illegible] შესდგება ამიერ-კავკასიის (საქარ[illegible] ლოს, ადერბეიჯანის და სომ[illegible] კოოპერატიული ყრილობა. წარმო[illegible] გენლები ყრილობაზე უნდა გამ[illegible] ნოს შემდეგი წესით: კოოპ[illegible] რომელშიაც ჩაწერილია 5-[illegible] წევრი გზავნის 1 წარმომა[illegible] 5,000 10,000-მდე წევრიანი - 2 [illegible] 10,000-ზე მეტი წევრიანი—3 წა[illegible] მადგენელს, კოოპერატივთა კავ[illegible] რომელშიაც ჩაწერილია 15-ეგ [illegible] პერატივი, გზავნიან 1 წარმ., 15-[illegible] მდე—2 წარ. და 30-ზე მეტი - 3 [illegible] დაწვრილებითი მოწოდება, პრო[illegible] და სხვა მასალები გაეგზავნება ყველ[illegible] კოოპერატივებს და შეიძლება მი[illegible] ამიერ-კავკასიის კოოპერატივ[illegible] შირში, მიხეილის პროსპ. № 178, [illegible] უნდა მიმართონ ყრილობაზე [illegible] ლმა დელეგატებმა.

ლექცია

პარასკევს, 9 მაისს, ქართუ[illegible] ბის დარბაზში ვახტანგ ლამბაშიძე [illegible] იკითხავს ლექციას „ცოტა რ[illegible] პის თანამედროვე პოლიტ[illegible] მარეობის შესახებ“. ლექცია [illegible] ვანი ს[illegible] იქნება.

პროვინციის ცხოვრება

გორი

გორში გაიმართა დღე[illegible] „პირველი მაისის“ აღსანიშნ[illegible] მონსტრაცია, რომელმაც მ[illegible] ლაქი შემოიარა. მონაწილეო[illegible] ვალი ხალხი. წარმოთქმ[illegible] ყვა პირველ მაისის მნიშვნელ[illegible]

— ქ. გორის ქუჩებში გამ[illegible] საქართველოს რესპუბლიკის [illegible] რაციის ინსპექტორი ბ. მ[illegible] ძის მოწ[illegible] რებთად, სადაც აღნიშნულ [illegible] ხელებულ მაზრაში [illegible] გახშირებული ცარცვა-გლეჯა [illegible] რონტმოქმედებანი; აღნიშნ[illegible] სხვა სოფლებში იგზავნება [illegible] ბათალიონის და მილიცი[illegible] და მოწ[illegible] გილობრივი მცხოვრებნი [illegible]

— გორის არტილერია [illegible] დან დაბრუნდა.

უცნაური ამბავი

ტენსადამლეთი და მეკავე [illegible] ჩვენი ჯარის გამოწვევა [illegible] საც ვერ დავიჯერებთ და [illegible] რიგ დროს ხომ იგი [illegible] ტანისამოსით დადიოდა. [illegible] კითხავს იმის მიზეზი და [illegible] მიგვიღია: „რა ვქნა, საქარ[illegible] [illegible] ცარცვული მიიღო; [illegible] ჯარების [illegible] სებული ჯარის ნაწილებისთვის [illegible] მედ არ [illegible] დამზადე[illegible] გაუტ [illegible] ხერხებია, რადგან [illegible] მიმცემ [illegible] შევი მხ[illegible] ამ უკ ნოვინო [illegible] არაფერი [illegible]

ამიტომაც არის თურმე რომ საქართველოს ჯარი გაუქმებული რუსის და ქართველ ჯარისკაცისგან დაბრუნებული ხმარი ტანსაცმელითა და ზემო ნა... ქვამ გაცარცვისაგან გადარჩენილ ... ართლისგან ფაცა-ფუცით დამზადებული მცირედი ტანსაცმლით და იდ... მს სულს. ეს ფართლეული და საჭირო სამკაულიც როგორ გამოილია და ... ანარჩენი გამოლევაზედ არისო ამბობენ, და მისი შეძენა საკულაოდ ... იდამ მოხერხდება—ეს მარტო ღმერთმა იცის, რადგან გარედამ შემოტა... ჯერ ხანად მოსალოდნელი არ ... ის და შინ ხომ რაიმე წარმოების სახიც არ გაჩენილა და ვინც მოვა ... ეა იზრუნოს ამაზე ზრუნვა ფიქრადაც არ მოსვლია.

და აი ამ გარემოებაში მეტად დიდი მითქმა-მოთქმა და თანაც გაოცება გამოიწვია იმ ამბავმა, რომ ამ უკანასკნელ ხანებში ამას გარდა რომ ... ხელშეწყობით საწყობიდ ამ სომხის რესპუბლიკისთვის სამიათასი ხელი სხვადასხვა ვაი ვაგლახით დამზადებული ჯარის ტანსაცმელი მიეცა, იმას გარდა კიდევ რომელთაც მინისტრმა ზედ ... ბართვაც დაუყოლებია იმაზედ, რომ სომხის რესპუბლიკას შეუძლიან დაუბრკოლებლად გაიტანოს საქართველოდან თექვსმეტი ათასი ჯარის ... ცისთვის საჭირო საცვალი თეთრეული, ორ-ორი წყვილი ე. ი. ოცდათორმეტი ათას-ოცდათორმეტი ათასი, მაუდის ტანსაცმელი და ყველა ... ჭირო ჯარის კაცის სამკაული და ... მოწყობილობა თითო ხელი, ე. ი. თექვსმეტი ათას-თექვსმეტი ათასი, ... იურის ტანისამოსი და მთელი მისი მოწყობილობა და სამკაული ხუ... სი ხელი. ამას გარდა კიდევ ტყა... ულობა ათასხუთასი ფუთი, ზეთი, ... ქარი ხუთასი ფუთი, ლობიო ... ქვსი ... ასი ფუთი, ჩაი სამასი ფუთი, წუმ... მა ოციათასი ათეული და ბევრი ... მ კიდევ სხვა.

ამის გამგონე რაიმენიმე კითხვა ... ადება: სომხეთის რესპუბლიკის რწმუნებულმა, როგორ უნდა შეიძინოს ამოდენა ქონება საქართველოში, ... დესაც მთელი მისი მოსახლეობა ... ითქმის გატიტვლდა, და საქართველოს ჯარების მოსამზადებელი დაწყებულება სწორედ ამით სარგებლობს, რომ ნახმარ ჯარისკაცისთვის გამოუსადეგარ საცვლებში და ტანისამოსში გაცვლით ჯერ შეიძინოს ჯარების საკვებად. და თუ მაინცა და მაინც იშოვება სადმე საქართველოში ... ბევრი ახალი ნივთეულობა, განა რა ... ჭირს ჩვენს მთავრობას რომ თვითონ შეიძინოს და ჩვენი ჯარები რიგიანად შემოსოს და ასაზრდოოს. შემდეგ—ამოდენა ნივთეულობის ბაზრიდან უცხო სახელმწიფოში გატანით (რომლის ღირებულება, ძალიან დიდი ანგარიშით, ოცდაათ მილიონ მანეთს აღემატება), განა ისეც საზარელი ფასები უფრო საზარელი არ შეიქმნება და მისი შეძენა მოსახლეობასაც და ჯარებსაც უფრო არ გაუძნელდება? „ყვავს რა აქვს ბუს რა ისცეს“.

ჩვენს ამჟამად გარემოებაში ამ კითხვებზედ პასუხის მიცემის ხალისი ეკარგება, რადგან სხვა ფიქრებში ... აგდებს ადამიანს. ხსენებული ნ... საქართველოში ზემოაღნიშნული ნივთეულისა და ნაწარმოების ... —ნილაჩია, ხოლო გატანა კი—... ამას ორი შესაძლებლობა აქვს: ან ის, რომ თბილისის საწყობებიდამ მთელი წლის განმავლობაში ბევრ გზას ქურდებისაგან მიპარულის სყიდვა და გატანა, და უფრო კი—ზევით ნათქვამი სომხის არსებული და არა არსებული ჯარის ნაწილებისაგან კანონიერი გზით ... დაბრუნებული და აქ სადმე შენახული ნივთების თავისუფალი გატანის სურვილი. ყველა შემთხვევაში ამ გატანას, როგორც უკანონოდ მოპოვებულისას თუ კი ნასყიდობას ვერ დაამტკიცებს კანონიერი გზით ვის მოვალეობასაც შეადგენს, უნდა გაეცლობოს წინ.

მოამბე.

დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო).

4 მაისი.

გერმანული პრესა

ფრანგების ძალმომრეობა.

ფრანგები განაგრძობენ საარის ოლქიდან გერმანოფილების გაძევებას. ... მაგალითად გერმანიის ჯარის ნამ... სამსახურში მყოფი ოფიცრები და უნტერ-ოფიცრები თავის ოჯახით ... რეინის მარჯვენა მხარეზე გადაასახლეს, რომ რეფერენდუმის დროს მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი საფრანგეთთან ამ ოლქის შეერთების მომხრე იყოს.

ჰინდენბურგის სამსახურიდან გასვლა.

გენ. ფონ ჰინდენბურგმა პრეზიდენტ ებერტს შემდეგი წერილი გაუგზავნა: „ბატონო პრეზიდენტო, საზავო მოლაპარაკების დაწყება მაიძულებს რესპუბლიკის მთავრობას მოვახსენო შემდეგი: მიუხედავად მომხდარ ცვლილებისა, მე მაინც დავრჩი ჯარის მთავარ-სარდლათ, რადგან ჩემ მოვალეობათ მიმაჩნდა გაჭირვების ხანს სამშობლოსათვის მემსახურნა. წინასწარ ზავის შეკვრის შემდეგ კი ჩემი დანიშნულება შესრულებულათ მიმაჩნია და გთხოვთ განმანთავისუფლოთ ჩემი თანამდებობისაგან, რადგან მოვხუცდი და ყველამაც იცის, რომ ეხლანდელ პირობებში ძალიან მიმძიმს მუშაობა თუ მხედველობაში მიიღებთ ჩემს პიროვნებას, რწმენას და ჩემს წარსულს.“ რესპუბლიკის პრეზიდენტმა უპასუხა: „ძალიან დამალონა თქვენი თანამდებობიდან გადადგომის შუამდგომლობამ. ვაკმაყოფილებ რა თქვენ შუამდგომლობას, მეძლევა შემთხვევა ერის სახელით გამოგიცხადოთ მადლობა ომის დროს და მიმდინარე დღეებში თქვენი ძვირფასი სამსახურისათვის. გერმანიის ერს არას დროს არ დაავიწყდება, რომ უკიდურეს გაჭირვების ხანაში თქვენ თავგანწირვით მიეცით სამშობლოსთვის სამსახურს.

გერმანელი დელეგატ. საფრანგეთში.

ვერსალიდან გერმანელი კორესპონდენტები გერმანიის რწმუნებულთა ჩასვლის შესახებ იუწყებიან, რომ საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენელნი ზრდილობიანათ, მაგრამ ცივათ შეხვდნენ გერმანიის დელეგაციას, ინციდენტი კი მაინც არავითარი არ მომხდარა. ჩასულან თუ არა დელეგატები ნაკრესონის სადგურზე, მათ გარს შემოხვევია მრავალი რეპორტიორი და ჩირაღდნების შუქზე განუწყვეტლივ იღებდა მათ სურათებს. ფრანგული და ინგლისური პრესა გერმანიის დელეგაციის ჩასვლას დიდ მნიშვნელოვან ფაქტათ არა სთვლის. ამერიკელი გაზეთებიც აღნიშნავენ, რომ ვერსალის მცხოვრებნი გულგრილათ შეხვდენ ჩამოსულ დელეგაციას, რომელზედაც არსებითად დამოკიდებულია უკანასკნელ 3 თვის თათბირის მუშაობა. მოკავშირეთა მხრით ვრცელდება ცნობა, რომ სიტყვიერ მოლაპარაკებას პარიზში ადგილი არ ექნება და მას შემდეგ რაც მოკავშირეთა პირობებს ვეიმარში განიხილავენ, გერმანიის დელეგაცია მოკავშირეებს წარუდგენს წერილობით დეკლარაციას. ფიქრობენ რომ ხელშეკრულებას ივნისის 1 მოაწერენ ხელს. საზავო ხელშეკრულების ტექსტს შაბათს დილით წაუკითხავენ ყველა მეომარ ხალხის დელეგატებს ერთათ და შუადღისას გერმანიის დელეგატებს გადასცემენ

პოლონელების ძალმომრეობა.

ბერლინის გაზეთები იუწყებიან, რომ პოლონელებს მრავალ გერმანელს ასახლებენ პოზნანიდან თავის ოჯახიანად: სამსახურიდან დათხოვნილ რკინის გზის და ფოსტის 1500 გერმანელ მოსამსახურის ოჯახს მოკლე ხანში გადაასახლებენ ტორნსა, კროიცსა და სხვა ქალაქებში“.

მიუნხენის გარშემო.

მიუნხენის გარშემო სამხედრო ძალების დაგროვება მარჯვედ სწარმოებს: მთავრობის ჯარის რკალი თანდათან ვიწროვდება და მიუნხენის აღმოსავლეთით მდებარე ადგილები უკვე გაწმენდილია სპარტაკელებისაგან.

მდგომარეობა ბრუნსვიგში.

ბრუნსვიგში, რომელიც სპარტაკელების ხელში იყო და ეხლა მათგან განთავისუფლებულია, შესდგა ახალი კოალიციონური მთავრობა. კაბინეტში შედის: 2 მეუმრავლესე სოციალ დემოკრატი, 2 დამოუკიდებელი და 1 ბურჟუაზიის წარმომადგენელი.

მაისის 1-ი ბერლინში.

რესპუბლიკის დედა-ქალაქში მაისის 1 მუშათა დღესასწაულად გადაიქცა. მოძრაობა თითქმის სრულიად შესწყდა. ქარხნები, სავაჭროები და რესტორანების მეტი ნაწილი დაკეტილი იყო. სოციალ-დემოკრატული პრესა აღფრთოვანებული ესალმება დღესასწაულს მაშინ, როდესაც ბურჟუაზიული პრესა სდუმს: მშვენიერი დარი სდგას, თუმცა ცოტა ცივა. არ მომხდარა არავითარი ინციდენტი. მცხოვრებთა დიდმა ნაწილმა ბერლინის ქუჩებში გაატარა დღე.

ორლანდო და იტალიის პარლამენტი.

იტალიის პარლამენტმა ფიუმეს საკითხში ორლანდოს მოქმედებას სრული თავისუფლება მისცა.

ჰუნგრელების დახევა

რუმინელებმა ჰუნგრელებს ქ. ტისას დასავლეთით დაახევინეს.

პეტერბურგის დაცლა.

მოვიდა ცნობები, რომ ფინელთა წინსვლის გამო ტროცკიმ პეტერბურგი დასცალა.

კოლჩაკის წინსვლა

კოლჩაკის წინსვლამ ბოლშევიკურ მთავრობაში პანიკა გამოიწვია.

რუსული ქაღალდების ფასი ლონდონში.

იუწყებიან, რომ ლონდონის ბირჟაზე რუსულ ქაღალდების ღირებულებამ ძალიან აიწია.

ხელშეკრულებანი

ჰფიქრობენ, რომ გერმანიის დელეგაციასთან საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ 2 კვირის განმავლობაში დაამზადებენ ხელის მოსაწერათ ავსტრიასა, უნგრეთსა, ბულგარეთსა და ოსმალეთთან ხელშეკრულების ტექსტს.

ლორდ რედინგის გამგზავრება

დიდი ბრიტანიის ელჩი შეერთებულ შტატებში ლორდ რედინგი „აქვიტანია“-ზე ინგლისში გაემგზავრა. მის პატივსაცემლად გამართულ გამოსათხოვარ სადილზე სხვათა შორის წაიკითხა მეფე გეორგის, სტატს სეკრეტარის ლანსინგის და ჰერცოგ კონნაუტელის დეპეშები. მეფე გეორგის დეპეშაში გამოთქმულია იმედი, რომ ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე ორ დიდ ხალხთა შორის კვლავინდებურად მეგობრული ურთიერთობა და კავშირი სუფევს.

ფრენის საქმე

ამერიკელმა მფრინავმა ჯონსტოს ტოურესმა გამოსცადა ახალი ტიპის ჰიდროპლანი. გამოცდამ დამაკმაყოფილებელი შედეგები მოიტანა. ჰიდ-როპლანი ადვილათ ასცურდა წყლის ზედა პირიდან. მასზე იყო 6 კაცი და სხვა ტვირთი, სულ 22,000 გირვანქის წონისა. ჰიდროპლანი მომავალ კვირაში ნიუ-ფაუნდლენდში გადაფრინდება პარიზიდან იუწყებიან, რომ მოკავშირენი გეგმას ადგენენ დიდი საატლეტო შეჯიბრებისას, რომელიც უნდა მოხდეს ივნისის 22-დან ივლისის 6-მდე. ფიქრობენ, რომ მონაწილეობის მისაღებათ სხვებზე ადრე მოვა 31 მოკავშირე სახელმწიფო· რუმინიას და სერბიას ყავს მხათ 150 ატლეტი. შეჯიბრებაში შეიძლება აირჩიოს ყველა, ვინც კი მოკავშირეთა ჯარში მსახურობდა 1914 წლის მარიამობისთვიდან, 1918 წლის ნოემბრამდე. შეჯიბრებების მონაწილენი ამერიკელთა სტუმრები იქნებიან შეჯიბრების ყველა ხარჯები ამერიკელებმა იკისრეს. სტადიუმს, რომლის ადგილიც საფრანგეთის მთავრობამ დაუთმო, შეუძლია დაიტიოს 42 ათასი კაცი. პრეზიდენტმა ვილსონმა, გენერალ პერშინგმა და პრემიერმა კლემანსომ სხვებთან ერთად წარადგინეს სხვა და სხვა ჯილდო.

რწმუნებული აღმოსავლეთში.

ჰფიქრობენ, რომ სტამბოლსა, სირიასა, არაბეთსა, მესოპოტამიასა და პალესტინაში 9 რწმუნებული დაინიშნება. მთავარი მიზეზი მათი წასვლელობისა ის არის, რომ ვილსონმა დააგვიანა პასუხი მათ რწმუნებულების შესახებ.

ბოლშევიკური ცნობები

მოსკოვი. მაისის 4. ც. ა. კ. ბ. ბ. ბიულეტენი.

ბუდაპეშტი. მაისის 3. უნგრეთის ბეჭდვითი ბიურო იუწყება: რუმინელებმა ტისას მთელ მანძილზე მიაღწიეს, იმ მთავარ ნაწილს გარდა, რომელიც ჩვენ გვიჭირავს.

სამარა. მაისის 3. მიხეილ ფრუნძემ რომელიც სამხრეთის რაზმს სარდლობს აღმოსავლეთის ფრონტზე, ოფიციალურათ გვაუწყა: გიცხადებთ, რომ კოლჩაკი ვოლგას ვერ ნახავს. ჩვენი სამხედრო ოპერაციების განვითარების გამო ჩვენი ნაწილების სულიერი განწყობილება შეიცვალა. ჩვენი ჯარი გადამწყვეტ შეტევას იწყებს. მათი მიზანია შემოსეული მტრის განადგურება. ჩვენ მიზანს სავსებით მივაღწევთ. ამ უკანასკნელ ხანებში წამოვიყვანეთ 5000-ზე მეტი ტყვე, რომელთა შორის არის ბევრი აფიცერი, ხელთ ვიგდეთ 7 ზარბაზანი და 50-ზე მეტი ტყვიის მფრქვეველი. მოწინააღმდეგის მე 5 და მე-11 დივიზია სრულიად გავანადგურეთ. მტრის სარდლების ნაწილი ტყვეთ წამოვიყვანეთ, ნაწილი თავისივე ჯარისკაცებმა დახოცეს. დავამარცხეთ და გავანადგურეთ მოწინააღმდეგის მე-2 და მე-12 დივიზია. ჩვენი ზარალი უმნიშვნელოა. ჯარის სულიერი განწყობილება საუცხოვოა. წითელ არმიელები სანაქებოთ იბრძვიან. მოწინააღმდეგის ჯარში დეზერტირობა დაიწყო. მათი ჯარის ნაწილები ჩვენს მხარეზე გადმოდიან. 1 მაისს სადგურ სატაიდორის რაიონში უკრაინის თეთრ გვარდიელთა 2000 კაცისაგან შემდგარი პოლკი, ჩვენს მხარეზე გადმოვიდა.

მოსკოვი მაისის 4. მოსული ცნობებით. მაის 1 ბრძოლის შემდეგ მიუნხენი დაიჭირა რეგენსბურგის სახალხო ჯარმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ლეიტენანტი ზეგმლერი. ქუჩებში ბრძოლის შესახებ, რომელსაც ყოველ შემთხვევაში მკაცრი ხასიათი ექნებოდა, ჯერ გარკვეული ცნობები არ მოსულა.

პარიზი მაისის, 3. საფრანგეთის მთავრობის რადიო იუწყება, ფედერაციის წევრებმა დაახლოვეთ ათას ხუთასამდე (დამახინჯებულია), რომელთაც გადასწყვიტეს უნებართვოთ მანიფესტაციის მოწყობა. კანდენის ქუჩაზე მოიყარეს თავი, გამოვიდნენ ბაღიდან და წითელი დროშებით და აკრძალულ ინტერნაციონალის სიმღერით მადლენის ტაძრისაკენ გაემართნენ.

მათ გარს შემოერტყა ბრბო და მათთან ერთად შეთანხმების მოედანზე გაიარეს. კავალერიის 4 ესკადრონმა, ქვეითი ჯარი, და ჟანდარმერია მათ წინ გადაეღობა, მაგრამ 600 კაცმა გაარღვია პირველი წრე და დაიწყო შეტაკება. ჟანდარმებმა ხალხს ხმლით სცემა, დაჭრილები ხალხში დასისხლიანებულები გამოვიდენ დაქსაქსულმა ცხენოსანმა ჯარმა რაზმებათ გაიარა შეთანხმების მოედანზე მილიციის უფროსმა განაცხადა, რომ ჟანდარმებიც დაშავდა რესპუბლიკის მოედანზე სროლა იყო

ბუდაპეშტი. მაის. 3 შესდგა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დაევალა ქარხნებში წესიერი მუშაობის აღდგენა. მიწის რეფორმის ცხოვრებაში გატარება დაევალა ცალკცალკე ოლქებს მამულებს კოოპეროტიულ საფუძველზე დაამუშავებენ არსდება სამეურნეო სასწავლებლები და მუშათა უნივერსიტეტები მაგარი სასმელების გაყიდვა აკრძალულია. სათბობ მასალის ეკონომიისათვის საზოგადო სამზარეულობები მოეწყო ბავშვების დასაცავად მიღებულია ზომები.

ოდესა, აპრ. 24 ყოფილი სპარსეთის შაჰი, რომელიც ოდესაში სცხოვრობდა საბჭოთა ჯარის მოახლოვების შემდეგ სტამბოლში გაიქცა მან მთელი თავისი ქონება ოდესაში დასტოვა ჯარის აცებმა ბოლო დროს აფიცერთა ხოცვას მიჰყვეს ხელი

კიევი, მაის 2. პირველი მაისის დღე ზეიმით ჩატარდა აფარებელი ხალხი დროშებით და სხვა და სხვა ლოზუნგებით ქუჩებსა და მოედნებზე დადიოდა დემონსტრანტთა შორის გერმანელ, ჩინელ, უნგრელ და რუმინელ კომუნისტების წრეებიც იყო. ქალაქი საუცხოვოთაა მორთული

კიევი, მაის. 2 მოსკოვიდან და სიმფეროპოლიდან ჩამოსულ მაჰმადიან მუშებმა და გლეხებმა მრავალ რიცხოვანი მიტინგი გამართეს. მიტინგზე ილაპარაკეს თათრებმა და ოსმალებმა ერთხმათ მიიღეს რეზოლიუცია, სადაც ნათქვამია, რომ თათარ და ოსმალო მუშებს თავის მოვალეობათ მიაჩნიათ დაიცვან საბჭოთა მთავრობა და ამ მიზნით ისინი ადგენენ მაჰმადიანთა პოლკს.

კიევი, მაის. 2. ადესიდან იუწყებიან, რომ საბჭოთა ჯარმა ბენდერის დაჭერის დროს ხელთ იგდო 24 ზარბაზანი, 14 მატარებელი, 7 ორთქლმავალი, 700 ზარბაზნის ყუმბარა, 10,000 თოფი, 60 ავტომობილი და სხვა მრავალი სამხედრო მასალა

სამარა, მყის. 3. № ის დივიზიის უფროსმა კულაკოვმა 20 წლიანი დოშ-ბ-ით იერიში მიიტანა მტერზე და ხელთ იგდო სავლე ზარბაზანი.

ტაშკენტი. მაისის 3. თურქესტანში მაისის 1 მაისის იდღესასწაულეს.

ბუდაპეშტი. მაისის 3. სახალხო კომისარმა იოსებ გაბურიხმა მუშებს მიჰმართა მოწოდებით, სადაც აცხადებს, რომ რევოლიუციონურ მთავრობის განკარგულებით მან ბუდაპეშტის ჯარის სარდლობა იკისრა. მოწოდებაში ნათქვამია: „მოგმართავთ თქვენ თხოვნით, მხარი დამიჭირეთ ძნელი მიზნის მიღწევაში.

სამარა. მაის. 3. ორენბურგის რაიონში ჩვენმა ჯარმა მოხალისე თეთრ გვარდიელთა პოლკი დაამარცხა. თეთრგვარდიელთა დამხმარე რაზმმა ბრძოლაზე უარი განაცხადა. ერთი პოლკი ამის გამო თითქმის სულ დახვრიტეს.

პოკროვსკი, მაის 3. ურალის ფრონტიდან მოსულთა სიტყვით, საბჭოთა ჯარის წინააღმდეგ მხოლოდ მოხუცებულები, მდიდრები და ყაზახები იბრძვიან. ახალგაზრდებმა საბჭოთა ჯარის წინააღმდეგ ბრძოლაზე უარი განაცხადეს.

რიგა, მაის. 3. „შვედური უწყებების“ ცნობით ლიტვის ყველა იმ ქალაქში, რომელიც თეთრგვარდიელებმა დაიჭირეს, დანიშნულია 2 კომენდანტი: გერმანელი და ლიტველი. ქალაქს გარედ ძალა უფლება გერმანელთა ხელშია, ქალაქში კი ლიტვის კომენდანტის განკარგულება გერმანელთათვის სავალდებულოა. ლიტვაში საერთო მობილიზაცია არ გამოცხადებულა. ყოველი ქალაქი სხვა და სხვა გვარად აგროვებს ჯარს, რადნაილსკში სამობილიზაციო პუნქტზე არავინ გამოცხადებულა. გერმანელები ქუჩებში ყველა გამვლელ მამაკაცებს იჭერენ. სურსათში გერმანელები იმდენს აძლევენ, რამდენიც სურთ.

ფრანგული პრესა.

იტალიაში.

სიტყვები პარლამენტში იყო. „იტალია 4 წლის განმავლობაში იბრძოდა. არ იშურებდა მსხვერპლს და როგორც წინათ, ისე ეხლაც მზათ არის ახალი მსხვერპლის გასაღებათ. იტალიამ აიტანა შიმშილი, მაგრამ ვერ აიტანს უპატიოსნობას. მე თქვენთან მოვედი როგორც ძმა და როგორც ისეთი უფროსი, რომელიც მორჩილობას მოელის ამ სიტყვამ გამოიწვია დაუსრულებელი ტაშის ცემა, მამულიშვილურ გრძნობის გაღვიძება და ფიცი ერთგულებაში

დიაცს, რომელმაც განაცხადა, რომ ჯარი და ფლოტი ყოველთვის მზათ იქნება აასრულოს თავისი მოვალეობა, ხალხმა ოვაციები გაუმართა. სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე ბარზილიამ და ქალაქის თავმა კოლონამ. დაუსრულებელი პროცესია კვირინალისკენ გაემართა.

კვირინალის მოედანი და ახლო-მახლო ქუჩები ხალხით სავსე იყო. მეფე, მემკვიდრე, გენუის ჰერცოგი, დიაცი, ორლანდო, ქალაქის თავი და ბარზილაი აივანზე გამოვიდენ. მცხოვრებლები აღფრთოვანებით მიესალმენ. გაზეთები აღნიშნავენ, რომ იტალიის ხალხმა თავისი აზრი, პარლამენტმა ადრე გამოსთქვა. ამ უდიდესმა სახალხო პლებისციტმა თავისი სიდიდით და აღფრთოვანებით ყველა წინათ მომხდარი მანიფესტაციები დაჩრდილა. პარლამენტის სხდომა ხვალ შესდგება. პალატის და სენატის პოლიტიკური პარტიები აირჩევენ კომისიას, რომელსაც დაევალება შეიმუშავოს სხდომის წესრიგი დანიშნოს მანიფესტაციის დღე, როდესაც მთელმა ხალხმა ორლანდოს სიტყვის აზრი უნდა გაიზიაროს. ფიქრობენ, რომ ერთი სხდომა კიდევ გაიმართება სხვა და სხვა პარტიათა დეკლარაციების მოსასმენათ.

მთელ იტალიაში მანიფესტაციები გრძელდება.

სონინო გუშინ პარიზში გამგზავრა. გუშინ ფიუმეს ეროვნულმა საბჭომ ყველა მოქალაქეთა პროცესიის დასწრებით ძალა უფლება ჩააბარა იტალიის მთავრობის წარმომადგენელს გენ. გრაციონს.

მოკავშირენი და ვილჰელმი.

„ტაიმსი“ ამბობს, რომ ერთი იმ პირთაგანი, რომლებიც საზავო ხელშეკრულებაში შესატანია, იქნება ექსკაიზერის საჯაროთ სამართალში მიცემა საერთაშორისო ეთიკის და დადასტურებულ ხელშეკრულებათა „უალრესათ შეურაცყოფისათვის“. მოკავშირეებს უფლება აქვთ ნიდერლანდის მთავრობას მოსთხოვონ ექს-კაიზერის გაცემა. სამსჯავრო რომლის წინაშე უნდა წარსდგეს ის, შესდგება შეერთებულ შტატების, დიდი ბრიტანიის, საფრანგეთის, იტალიის და იაპონიის წარმომადგენელთაგან. ვაშინგტონიდან დეპეშით იუწყებიან, რომ სასამართლოს ერთერთ წევრად იქნება ტავტი, უზი და ან რუტი. ლორდ რედინგს ასახელებენ, როგორც ინგლისის წარმომადგენელს. დაბეჯითებით ამბობენ, რომ სასამართლოს სხდომები ჟენევაში მოხდება, სასამართლოს 5 წევრი წინასწარ გადასწყვეტს საქმის მიმდინარეობას.

იტალიის პარლამენტმა მთავრობას ნდობა გამოუცხადა. „ვესტმინსტერის გაზეთი“ ამბობს, რომ პარლამენტის დადგენილება არ სპობს მოლაპარაკების გაგრძელების და დათმობათა საშუალებას. ეს მხოლოდ ადასტურებს ხალხის და მთავრობის თანხმობას და იმას, რომ მთავრობა „დაიცავს იტალიის უფლების უფლებებს.—სამართლიან და ხანგრძლივ ზავის შეკვრის უცილებელ პირობებს“. ასეთი გადაწყვეტილება რომ ზავში განსაკუთრებულ პირობების დადებაში მოლაპარაკების გაგრძელებისთვის მთავრობას ხელს არ უშლის.

ბოლშევიკური ცნობები

ბუდაპეშტ. მაის. 1. ბუდაპეშტში დაარსდა მთავრობის დაწესებულება უცხოელთა ქვეშევრდომების დასაცავად, რაც უცხოელებს აუწყეს. ბელაკუნის მოწოდებით, ფრანგულ-ინგლისურ და იტალიურ ენაზე, ბავარიის საბჭოთა მთავრობამ განუცხადა პროლეტარიატს, რომ გაქცეულმა ჰოფმანის მთავრობამ, ბავარიასთან ურთიერთობის აკრძალვით, ბავარიის დიდი ქალაქების პროლეტარიატი გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩააყენა.

ლიონი, მაის. 2. შეერთებული შტატები იტალიას 50 მილიონ დოლარს აძლევენ სესხათ, ეს ფული ამერიკას უნდა მიეცეს მიღებულ სურსათში.

ნაუენი, მაისის 1. ჩეხური გაზეთები მიზეზობენ იმას, ვითომც გერმანია დიდ ჯარს ადგენდეს, მოითხოვენ, რომ ჩეხიამ უნდა შექმნას ძლიერი ლაშქარი, მაგრამ ჩეხებს ავიწყდებათ, რომ მშვიდობიანობის დროის გერმანულ ეროვნულ თავდაცვის რაზმს მიზნათა აქვს ხელი შეუშალოს სპარტაკელების გამოსვლებს და ბოლშევიზმისაგან საზღვრები დაიცვას.

ბოლშევიკური ცნობები

პარიზი, მაისის 2. ვაშინგტონიდან მოსული ცნობებით შეერთებულ შტატების 50.000-იან მოხალისეთა არმიაში, რომელიც ევროპაში უნდა გაიგზავნოს ჯერჯერობით მხოლოდ 1700 კაცი ჩაეწერა

ოდესა, აპრ, 24. დაღუპული გემი „ქსენია“ ზღვიდან ამოიღეს. დაიწყეს სურსათის ზიდვა, რომელიც მასზე იყო. ზღვიდან ამოიღეს და შეაკეთეს საფრანგეთის 6 ავტომობილი. ჯარის სარდლების ბრძანებით ოდესაში საალყო წესები აპრილის 25 მოიხსნა ქალაქში სიარულის უფლება ღამის პირველ საათამდე ნება დართულია. აჯანყებულმა გლეხებმა მოკლეს ატამან კოზუბსკი, რომელიც აიძულებდა მათ ებრძოლა წითელი ჯარის წინააღმდეგ.

ბუდაპეშტი, აპრ. 29. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა ევგენი ლანდერმა განაცხადა, რომ რკინის გზის მოსამსახურეებს ჯამაგირებს გაუდიდებენ, მეისრე მიიღებს არა ნაკლებ 12.000 კრონისა წელიწადში.

ვარშავა, მაის. 2. ზემო სილეზიაში გამოცემული საპროტესტო პროკლამაცია შეეხება პრუსიის მთავრობის მიერ მოქმედებას და გამოსთქვამს პოლონეთის ხალხის სურვილს პოლონურ რესპუბლიკის შემადგენლობაში შესვლის შესახებ. პროკლამაციაში ნათქვამია, პოზნანში გერმანიის ჯარი სცარცვავს და ხოცავს ხალხს და გერმანიის მთავრობამ დააპატიმრა 160 მეტი ცნობილი პოლონელი მოღვაწე.

იალტა, აპრ. 25 გამოვიდა შემდეგი გაზეთები: „წითელი ვარსკლავი“ „რევოლ. კომიტეტი უწყებები“ და პროფესიონალურ კავშირების ორგანო „ჩვენი ვარსკლავი“

კიევი, აპრ 30 უკრაინის მუშათა და გლეხთა მთავრობამ დონის ოლქის და მეზობელ გუბერნიების მუშებს მოწოდებით მიმართა შეადგინონ მუშათა ბატალიონები, წითელი არმიის გასაძლიერებლათ, რადგან დონის ოლქში და თავრიდის გუბერნიაში ჯარში გასაწვევ მამაკაცთა რეგისტრაცია საუცხოვოთ სწარმოებს. თათრებმა, რომელთაც უარი განაცხადეს მოხალისეთა რაზმისთვის ჯარისკაცობის მიცემაზე, სიამოვნებით აძლევენ. საბჭოთა მთავრობას შეკრებილ რაზმებს ოფიცრები ბევრათ უფრო მეტია აქ, ვიდრე მოხალისეთა რაზმებში. წითელ ჯარში ყველგან სიამოვნებით ეწერებიან

ვორონეჟი, მაის. 2. პირველი მაისის დღემ კარგათ ჩაიარა, მუშათა, წითელ ჯარის ნაწილთა და მოწაფეთა მონაწილეობით

რიგა, მაის. 2. ლატიშთა საბჭოს მსროლელთა მეორე პოლკმა რიგის მუშათა ენერგიულ თავდაცვით გამხნევებულმა 1 მაისს დილიური კერძი მუშებს შესწირა.

პირველ მაისის პროცესიაში მონაწილეობა მიიღო 200 ორგანიზაციამ.

კალუგა. მაისის 2. პირველი მაისის დღესასწაული ზეიმით ჩატარდა.

რიგა. მაისის 2. პირველი მაისის დღესასწაულის გამო რევოლიუციონურმა საბჭომ გამოაცხადა ამნისტია ყველა დეზერტირებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეტროვსკი. მაის. 2. პირველ მაისის დღეს დემონსტრაციები, მიტინგები და სადღესასწაულო წარმოდგენები გაიმართა.

ლიონი. მაის. 3. ვილსონი იაპონიის მხრით ახალ დათმობას მოელის ჩინეთში კონცესიების შესახებ. ფიქრობენ, რომ ჩინეთის ბედი თვით ჩინეთსავე უნდა ჩააბარონ და ის არ უნდა გადაიქცეს სხვა სახელმწიფოთათვის ექსპლოატაციის საგნათ. ვილსონი ფიქრობს, რომ ჩინეთში უნდა გაუქმდეს ყველა კონცესია, გარდა ამერიკის და საერთაშორისო მსხვილი კერძო კონცესიებისა. შანდუნზე ჩინეთის სუვერენიტეტის დამყარების და იაპონიის სამხედრო კონტროლის გაუქმების შემდეგ, შესაძლებელია ჩინეთის ბედი მასვე ჩაბარდეს.

ფრანგული პრესა.

მაისის 1-ლი ლიონში.

ლიონიდან იუწყებიან, რომ მაისის 1-ს დილით მოძრაობა და მუშაობა თითქმის ყველგან შესწყდა, მაგრამ არავითარი ინციდენტი არ მომხდარა. სინდიკალისტები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ტრადიციულ მიტინგებზე, წვიმამ გაჰფანტა, მანიფესტაციები არ მომხდარა. მოძრაობა სრულიად შესწყდა, ყველა სავაჭრო დაკეტილი იყო და ქალაქს, ეჭვს გარეშე, დაღვრემილი სახე ჰქონდა. უსაქმური ხალხი ქუჩებში ჯგუფდებოდა. მანიფესტანტი-სოციალისტები აგენტებთან (?) თანხმობით მოქმედებდნენ. მაგრამ მას შემდეგ რაც რამდენიმე კაცი დასჭრეს, მანიფესტანტების გაფანტვა ადვილი გახდა

გერმანელები ვერსალში

ხუთშაბათს, ვერსალში, ტრიანონის სასახლეში გერმანიის და მოკავშირეთა რწმუნებულთა შორის რწმუნების ქაღალდების გაცვლა-გამოცვლა მოხდა.

მოსალოდნელია რომ შაბათს ტრიანონის სასახლის დიდ დარბაზში კლემანსო გერმანიის წარმომადგენლებს გადასცემს ხელშეკრულობის დიდ ტომს.

ბროკდორფ რანტცაუმ, რომელიც გერმანიის სხვა დელეგატებთან ერთად ჩამოვიდა სად. ნონკრესნოზე, ვერსალის ახლო, მღელვარება გამოიჩინა. მას თან ახლდა გერმანულ შტაბის რამდენიმე ოფიცერი 1871 წლის შემდეგ პირველი შემთხვევაა, რომ გერმანელები თავისუფლად ნახულობდენ ვერსალს. ჩამოსულებს შეხვდა სენის ოლქის პრეფექტი და ისინი გადასცა პოლკოვ. ანრის, რომელსაც მინდობილი აქვს გერმანიის დელეგატებზე ზრუნვა.

ინგლისური პრესა.

ფიუმეს საკითხი.

იუწყებიან: ორლანდო რომში და პარლამენტში წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა, რომ მისი აზრით ფიუმეს საკითხში შეიძლება დათმობაზე წასვლა—ფიუმე თავისუფალ ქალაქათ გამოცხადდეს ისე რომ საზავო ხელშეკრულება არ დაირღვეს.

ბელაკუნი ბოლშევიკებზე

ბელაკუნი აღიარებს, რომ რუმინელების შემოტევას ბოლშევიკების მხოლოდ მცირე ნაწილმა გაუძლო.

ინგლისი და ეგვიპტე

„ტაიმს“-ში ერიკ სვებორკი სწერს რომ ყოველ ეჭვს გარეშე, ინგლისის მთავრობა დიდი ნდობით სარგებლობს ეგვიპტეში. ის დარწმუნებულია, რომ ინგლისის ხელმძღვანელობით ეგვიპტეს წარმატება სწრაფი ნაბიჯებით წავა წინ, მაგრამ ეგვიპტე მაინც მომზადებული არაა თვითმართველობისთვის.

უცხოეთის ამბები

ჟურნალ-გაზეთებიდან

მექრთამეობა საბჭოთა რუსეთში.

მოსკოვის საინფორმაციო ბიუროს ცნობით მთავრობას დაუპატიმრებია მოსკოვის გამოჩენილი ფინანსისტი, „გორნსოკი“-ის დირექტორი ა. გელდარი. გელდარს აბრალებენ, რომ მან ნახშირის კომიტეტის მდივანს ქრთამი მისცა. ის და მდივანი ორივე სასამართლოს გადაეცა.

არზრუმის დამოუკიდებლობა.

ყარსიდან „აშხატავორს“ ატყობინებენ, რომ არზრუმში შესდგა საბჭო („შურა“). რომელმაც არზრუმი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადა.

გენ. შატელვორტი ყარაბაღში.

აზერბაიჯანის მინისტრთა თავმჯდომარე იუსუბბეგოვი და ინგლისის გენერალი შატელვორტი შუშაში გაემგზავრნენ.

ხმები დენიკინზე.

ზოგიერთ ადგილობრივ გაზეთში მოთავსებული ცნობა, ვითომც გენერალი დენიკინი ბათომში ჩამოსულიყოს, სიმართლეს არ შეეფერება.

ეკატერინოდარიდან ჩამოსული პირები ამბობენ, რომ ჩქარა გენერალი დენიკინი მთავარ სარდლობას მიატოვებსო. მოწინააღმდეგენი უწუნებენ დენიკინს რბილ ხასიათს. მის მაგიერად ასახელებენ გენ. გრაფ ფრანგელს. ამას მხარს უჭერს მოკავშირეთა მისიაც.

არეულობა ქაირში

გაზ. „ტაიმსის“ ცნობით, ეგვიპტის ქალაქ ქაირში დიდი არეულობა მომხდარა. მეამბოხეებს მეთაურობდნენ სტუდენტები და სამკურნალო და საინჟინრო სასწავლებლების მოსწავლენი. მეამბოხეთა დაწყნარებაში ინგლისის ჯარსაც მიუღია მონაწილეობა. ქაირიდან 50 ვერსის მოშორებით მეამბოხეები შეეცადნენ რკინის გზის სადგური ჩაეგდოთ ხელში. მარტის 11-ს დემონსტრაციები გრძელდებოდა, რისთვისაც ინგლისის ჯარმა ხალხს კვლავ სროლა აუტეხა.

მარტის 13-ს ეგვიპტეს ჯარების მთავარსარდალმა გამოსცა გაფრთხილება „ყველასადმი ვისაც ეხება“. მთავარსარდალი აფრთხილებს ხალხს: ვინც გააფუჭებს რკინისგზას, ტელეფონების მავთულებს ან ტელეგრაფს—გადაეცემა სამხედრო სასამართლოს.

მოკავშირენი, ოსმალეთი და ბათომი.

ბაქოდან მოსული ცნობებით მოკავშირეებმა ოსმალეთს საზავო პირობები წარუდგინეს, სადაც სხვათა-შორის სწერია, რომ ბათუმისა, ყარსისა და არდაგანის ოლქები უბრუნდება ოსმალეთს, მაგრამ ბათუმი კი გამოცხადდება პორტ-ფრანკოთ.

ამერიკა და სომხეთი.

სომხეთის მთავრობამ ამერიკის სასურსათო კომიტეტის წარმომადგენლთან ხელშეკრულება დასდო, რომლის ძალით ამერიკა სომხეთს 5000 ტონის სურსათს აწვდის. ფულს სომხეთი ოთხი წლის განმავლობაში იხდის.

ქართველი ქალების მოწოდება

ჩვენ ქალების ერთმა ჯგუფმა გადავწყვიტეთ საქართველოს დამოუკიდებლობის წლის თავზე, 26 მაისს ჩვენი ჯარის-კაცები შევამკოთ ყვავილებით. ჩვენ ვიცით, რა დიდი გმირობა და თავგანწირულება გამოიჩინეს ჩვენმა ჯარის კაცებმა: აუარებელ მტერთა გარშემორტყმის დროს მათ გადაარჩინეს სამშობლო და თავისი ოჯახები: ძმები, დები და დედები. ჩვენ არ შეგვეძლო მათ ბრძოლის დროს თოფით გვერდში ამოვდგომოდით, რადგანაც ბუნებას ჩვენთვის ეს არ დაუვალებია.

ჩვენ გულითად მწუხარებას გამოვსთქვამთ თუ ვერ მოვიქეცით ზოგიერთ შემთხვევებში სათანადოდ ხოლო დღეს ჩვენს მოვალეობას შეადგენს ყოველი ჯარის კაცი შევამკოთ ყვავილებით. ეს იქნება მორალური მნიშვნელობის საქციელი და ამისათვის მოუწოდებთ ყველა ქართველ ქალს, თუ კი მასში რაიმე ქართული არსებობს, ჩვენთან ერთად მიიღოს მონაწილეობა ამ დღესასწაულში არა ისე როგორც მაყურებელმა, არამედ ისე, როგორც ომიდან დაბრუნებული ძმის საპატივცემოდ გამართულ ნადიმზე. ეს ჩვენგან დიდ შრომასა და ხარჯს არა თხოულობს: ყველა ჩვენგანმა რომ თითო ყვავილი და თითო ქინძისთავი იქონიოს მკერდზე გასაბნევათ ოცჯერ მეტი გამოვიდოდა ისაზე ყვავილი, ვინემ ჯარი გვყავს.

მოუწოდებთ ჩვენს ამხანაგებს შეასრულოს ეს მცირე ვალდებულება არა შიშით და დარცხვენით, როგორც ქართველ ქალებს ჰჩვევიათ, არამედ გაბედულად და იმის შეგნებით, რომ ისინი სახალხო საქმეს აკეთებენ.

ქალთა ერთი ჯგუფი.

მკითხველთან საუბარი

XVI

[გაგრძელება]

როდესაც ვითვალისწინებთ დიდებულ ადამიანთა მოღვაწეობას, განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევ მათ პირადობას და საზოგადოდ სხვებთან მათ ურთიერთობას რა დამოკიდებულებას და რამდენადაც ამ დიდებულ ადამიანების ცხოვრება უმწიკვლოა და სხვებთან დამოკიდებულება სამართლიანი, ნამდვილი ადამიანური, იმდენად ჩემი თაყვანისცემა და მოკრძალება-მოწიწება მათ წინაშე უსაზღვროა. ამ მხრივ მუდამ სათაყვანებლად მიმაჩნია სოკრატი, სპინოზა, დარვინი, გეტე, ლევ ტოლსტოი. ზემოხსენებული პირნი თუმცა კარგათ გრძნობდნენ თვით დიადი ბუნებას, დიდის მოკრძალებით ეპყრობოდნენ სხვის პიროვნებასაც. მკითხველი ნუ მომიწყინდება თუ ამ მოსაზრების გასაშუქებლად მოვიყვან ერთ ადგილს ლევ ტოლსტოის თხზულებიდან *).

„ფილოსოფიური აღმოჩენები, რომელსაც ჩემის აზრით მე მივაღწიე, საამო იყო ჩემი თავმოყვარეობისათვის. ხშირად წარმოვიდგენდი ხოლმე ჩემ თავს დიდებულ ადამიანად. რომელმაც აღმოაჩინა მთელი კაცობრიობისათვის ახალი ჭეშმარიტებანი, და ჩემი ღირსების შეგნებით ამაყად ვუყურებდი დანარჩენ მომაკვდავთ, მაგრამ უცნაური იყო, რომ ამ მომაკვდავებთან დამოკიდებულების დროს ყველას წინაშე ვკრთებოდი, და რამდენად ჩემს თავს მაღლა ვაყენებდი საკუთარ თვალში, იმდენად უფრო ნაკლებ ვბედავდი არა თუ მეჩვენებინა სხვისთვის ჩემი ღირსება, არამედ არ შემეძლო არ გავწითლებულიყავი ყოველ, სულ უბრალო, სიტყვის თქმისა და მოქმედებისათვისაც კი“. ამგვარი სულიერი განწყობილება ლევ ტოლსტოის ბოლომდის დასჩემდა. ის აღმაფრენა, რომელსაც განიცდის ყოველი დიდებული ადამიანი შემოქმედების დროს, როდესაც იგი გრძნობს თითქოს მას ღმერთები ესაუბრებიან, (პოეტებისათვის ეს ღმერთი მუზა იყო), ტოლსტოის კარგად აგრძნობინებდა, რომ იგი არაჩვეულებრივი ადამიანია, მაგრამ იგი სავსებით იყო მოკლებული კადნიერებას ეს ასეა და დღეს მე კიდევაც ვნანობ, რომ ამ დიდებული მწერლის გულწრფელობის შესახებ ახალგაზრდობაში ეჭვი მეპარებოდა, რადგან ზოგი რამ მისი მოქმედებაში არ მჯეროდა და არ მომწონდა. მე არ მჯეროდა ლევ ტოლსტოის პასუხი მათ მიმართ, ვინც მას მატერიალურ დახმარებას სთხოვდა „მე არა მაქვს რაო“. არ მჯეროდა, რომ ყოველგვარ მის ქონებას ოჯახობა განაგებდა. არ მომწონდა ისიც, რომ ლევ ტოლსტოი ყოველ მის მიმდევარს, (და მათი რიცხვი ახალგაზრდობაში მრავალი იყო) რომელიც მას სახლში ეწვეოდა, ამ გვარ წინადადებას აძლევდა: „ათ წუთში დამიხატეთ თქვენი რწმენაო“. თაყვანისმცემელი ახალგაზრდობა პირდაღებული რჩებოდა, რადგან ხშირად იბნეოდა, თავის რწმენას, მსოფლმხედველობას ათი წუთის განმავლობაში თავს ვერ მოუყრიდა და ვერ გადუშლიდა მწერალს და ხშირად სახტად. დარჩენილი ბრუნდებოდა სახლში. ლევ ტოლსტოის ტრაგიკულმა ბოლომ მე, ურწმუნო თომას, ბოლოს და ბოლოს თვალები ამიხილა. ნათლად წარმომიდგა დიდებული მწერალი წვრილმანი ოჯახის წევრებისაგან დატყვევებული და ნების ყოფას მოკლებული იმ სფეროში, რომელიც შეიცავს ჩვენს ჩვეულებრივ ცხოვრებას. ამ გვარად დიდებული მწერალი ძლიერი აზროვნების და ხელოვნების სფეროში ნამდვილი, თითქმის გულუბრყვილო უსუსური ბავშვია ჩვეულებრივ ცხოვრებაში, და იმავე დროს იგი მოკლებულია შურლს, სიძულვილის გრძნობას, სხვისი პირადობის უპატივცემულობას. თუ ჩვენ აქა იქ შეხვდებით გამონაკლისს, ეს ზემოხსენებული დებულობის დამამტკიცებელია. ეს გამონაკლისი ერთგვარი ატავიზმია, რასაც ხშირად რჩეულნიც კი ვერ ასცილდებიან ხოლმე. ეს იგივე მოვლენაა, რომელსაც ვხედავთ მშვენიერად აღზრდილს და ქონებით სავსე ადამიანში, რომელიც გულგრილად ვერ უყურებს რომელიმე ძვირფასს ნივთს, მაღაზიაში გამოფენილს, იპარავს და მიაქვს სახლში. იმდენად ექვემდებარება იგი დაბალ თვისებათა გავლენას, რომელიც ველური წინაპრების ნაანდერძევია.

ბეკონ ვერულამელი, რომელიც იყო ძლევა მოსილი ნიჭით, რამოდენიმე საუკუნით წინ იჭვრიტებოდა ცნობილი საუკეთესო თანამდებობით და სიმდიდრით, უსაშინელესი მექრთამე იყო. ეს ფაქტი ყოვლად წარმოუდგენელი ხდება ჩვენს თვალში, თუ მას არ შევხედავთ ზემოხსენებული თვალსაზრისით. რასთვის ისე არ ვეტრფი, რასთვის სიხარულით არ აღივსება ჩემი გული, როდესაც მე მაგონდება კარლო მარქსი, როდესაც ვხედავ მის სურათს, რომელსაც დღეს ასე ხშირად ატარებენ ქუჩებზე.

სიხარულის ნაცვლად რაღაც სევდა ჰლრნის ჩემ გულს. მე მრწამს კარლოს მარქსის დიდი გავლენა მსოფლიო ისტორიაზე, მრწამს მისი დიდებული ჭკუა, რომლის ნაწარმოებები საუბედუროთ მეტად გაუგებარია ბევრისათვის. ერთი ჩვენში მეტად ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე ხშირად ასე მეუბნებოდა: კარლოს მარქსის კაპიტალი 30 ჯერ წამიკითხავსო და ჯერ კიდევ ნაკლებად გამიგიაო. მე კი ასე ვფიქრობდი; 30 ჯერ წამიკითხავს, თუნდაც ასჯერ წაეკითხოს, მაინც ვერ გაიგებს, თუ პირველ წაკითხვაზე ვერ გაუგია, და კიდეც ეს არის ტრაგიზმი კარლოს მარქსის მცნების გავრცელებაში. თითქმის ისე ხდება, როგორც მართლ მორწმუნე მაჰმადიანებში ესენი ასე ამბობენ: ყურანის პირველ სტრიქონების გაგებაც შეუძლებელი არისო და საზოგადოდ ყურანი ხომ მიუწდომელი არისო.

და ამგვარი რწმენა განა ადვილად გახდის ყურანის საფუძვლიანად შეგნებას მართლ-მორწმუნეში? თუ კარლოს მარქსის მოძღვრება ესოდენ მიუწდომელია ბევრისათვის, რჩეულთათვისაც კი ძნელი გასაგებია, ამ შემთხვევაში მოძღვარის ღმობიერებას და კეთილშობილურ საქციელს დიდი მნიშვნელობა ექნებოდა. კარლ მარქსი, როგორც ეს იყო აღნიშნული წინა ხანებში ჩვენი ცნობილი ბ. ვარლამ ჩერქეზიშვილისაგან, როდი იყო სხვებთან ურთიერთობაში დამოკიდებულობაში სამართლიანი. იგი ულმობელი მტერი იყო იმ მოწინააღმდეგისაც რომელთან პრინციპების შეგნებაში ცოტაოდენი განსხვავება ჰქონდა. ყველამ იცის კარლმარქსის და პრუდონის მეგობრობა, მაგრამ საკმარისი იყო, რომ პრუდონს გამოექვეყნებინა თავისი systeme de[illegible] contrabictiou[illegible] conomqrue[illegible] ou philosophie be lami[illegible]ére რომელსაც სავსებით არ ეთანხმებოდა კარლ მარქსი და უკანასკნელიდან პირველი მიზანი იქმნა გასწორებული აგრეთვე ულმობელი იყო იგი ბაკუნინთან, ბაკუნინი გულწრფელი რევოლიუციონერი იყო, მაგრამ როდესაც იგი სათავეში ჩაუდგა პანსლავიანურ მოძრაობას, ისე როგორც კარლ მარქსი პანგერმანულ მოძრაობას, კარლ მარქსი ბაკუნინს ყოველგან ჯაშუშის სახელით ნათლავდა, ბაკუნინი კი ყოველთვის კარლ მარქსის ჭკუის პატივისმცემელი იყო.

შეიძლება ბაკუნინს ბევრი ნაკლულევანება ჰქონდა, ალბათ ჰქონდა კიდეც, როდესაც მას ხუმრობით რევოლიუციის, ბავშვს უწოდებდენ (ბებეს-გერცენი). მაგრამ ბაკუნინი გულწრფელი რევოლიუციონერი იყო და ჯაშუშობას ვერავინ დასწამებდა. დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიის შემქმნელს და თვით პარტიის სიფაქიზეს და ტრადიციებს, ისე როგორც რიგიანი ოჯახის საზოგადოებრივი ცხოვრებას და ტრადიციებს. უსამართლობის საფუძველზე ვერავითარ ადამიანურს ცხოვრებას ჩვენ ვერ შევქმნით და ვაი თუ კარლ მარქსის ზემოაღნიშნული ხასიათის შეუგუებლობა და უპატივცემლობა მიმდევრებსაც ედება სენათ.

მთელს ქართველობას დიდი მიდრეკილება აქვს დემოკრატიულ მიმართულებისადმი და გამონაკლის მაინც და მაინც ქართველი თავად აზნაურობაც არ შეადგენს. ამგვარი მიდრეკილების ნიადაგი უთუოდ წარსულმა რამოდენიმედ დაგვიმზადა. მეფეების დიდი მოტრფიალე ჩვენი თავად-აზნაურობა წარსულშიაც როდი ყოფილა. დიდად პატივცემული ჩვენი პროფესორი ი. ჯავახიშვილი ირწმუნება, რომ ჩვენს წარსულში ცხადად სჩანს, რომ თავად-აზნაურობა კრიჭაში ედგა მეფეებს და მათ უფლებებს ძლიერ ავიწროებდა და ზღუდავდა. რუსეთის ბატონობის დროს თუ ჩვენი თავად-აზნაურობა იჩენდა ვითომდა ტრფიალებას რუსეთის მეფეების წინაშე, ეს ტრფიალება არ იყო გულწრფელი და როგორც უკანასკნელ წერილებში არჩილ ჯორჯაძე გვიმტკიცებდა, ეს ტრფიალება იყო ერთგვარი ფორმა ჩვენი თავდაცვისა და ეროვნული სახის შენარჩუნებისა. და დღეს ჩვენს გაპროლეტარებულ თავად-აზნაურობას რომ დავწამოთ საქართველოში მეფობის აღორძინების სურვილი რასაკვირველია დიდი შეცდომა იქნება.

მარტის პირველ რიცხვებში, როდესაც დამფუძნებელ კრებისათვის არჩევნები იყო გაჩაღებული ბ-ნ ი. გომართელმაც კი იკადრა გაკვრით ამგვარი ცილისწამება თავად-აზნაურობაზე.

ე. ვაშაკიძე.

(დასასრული იქნება).

---

*) ბავშვობა და სიყრმე ლევ ტოლსტოისა, თარგმანი ნინო ნაკაშიძისა, გვერდი 301.

ოზურგეთის საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობა აუწყებს პატივცემულ წევრთ აღნიშნულ საზოგადოებისას, რომ ამა წლის მაისის 11-ს დღით, კვირას 2 საათზე, ადგილობრივ ქალთა 2 კლასიან სასწავლებლის შენობაში დანიშნულია წევრთა

წლიური საზოგადო კრება

რომელზედაც განსახილველია შემდეგი კითხვები: 1. გასული 1918 წლის ანგარიშის განხილვა—დამტკიცება და მოსაგების განაწილება. 2. ამა 1919 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება. 3. ერთი გამგეობის, ორი საბჭოს და სამი სარევიზიო კომისიის წევრების არჩევნები. 4. მიმდინარე კითხვები.

ოზურგეთის საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობა.

2—58—2

ამიერ-კავკასიის

კოოპერატიულ ყრილობათა საბჭო

ამით აუწყებს ამიერ-კავკასიის და საქართველოს ყველა კოოპერატივებს (როგორც მომხმარებელთა, აგრეთვე საკრედიტო და სხვა კოოპერატივებს, რომ

23 მაისს, ქ. თბილისში შესდგება კოოპერატიული ყრილობა

საქართველოს კოოპერატივებისა

და 25 მაისს, ქ. თბილისშივე შესდგება

ამიერ-კავკასიის,

(საქართველოს, ადერბეიჯანის და სომხეთის) კოოპერატიული ყრილობა. ყრილობის შესახებ ცნობების მიღება შეიძლება თბილისში, (მიხეილის 3.., № 178 ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირში.

ამიერ-კავკასიის კოოპერატივების ყრილობათა საბჭო.

3—53—3

მატარებლების მიმოსვლა

11 თებერვლიდან.

მატარებლები თბილისიდან ფოთში:

მ. № 1 სასწრაფო საღ. 7 საათ. 30 წ.
ხაშურიდან — ღამ. 10 ს. 52 წ.
შორაპნიდან — ღამ. 1 ს. 34 წ.
სამტრედიიდან—ღამ. 3 ს. 50 წ.
ფოთში — დილის 5 ს. 50 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 20 მ.

მ. № 3 სატვირთო დილის 10 ს. 30 წ.
ხაშურიდან — დღის 3 ს. 08 წ.
შორაპნიდან—საღამოს 6 ს.
სამტრედიიდან—საღ. 8 ს. 34 წ.
ფოთში — ღამის 10 ს. 43 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 10 მ.

მ. № 9 **სამგზავრო ქუთაისამდე.**
საღამოს 10 საათ. 30 წ.
ქუთაისში მივა დილ. 7 ს. 21 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 19 **სამგზავრო ბორჯომამდე.**
დღის 3 საათზე 30 წ.
გორიდან —საღამოს 6 ს. 30 წ.
ბორჯომში მივა საღ. 9 ს. 27 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 4 **სატვირთო ბაქომდე.**
ღამის 1 საათზე 10 წ.

მ. № 8 **სამგზავრო განჯამდე:**
დღის 3 საათზე 35 წ.

მ. № 6 სასწრაფო საღ.—9 ს. ბაქომდე.
პლაცკარტის ფასი ბაქომდე 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მ., 3 კლ. 20 მ.

ყარსიკენ — ერევანში

მ. № 4 სატვირთო —დღის 1 ს. 40 წ.

თბილისში მომავალი მატარებლები.

ფოთიდან — თბილისში.

მ. № 2 სასწრაფო—დილ. 9 ს. 41 წ.
ფოთიდან გამოვა საღ. 11 ს.

მ. № 4 სატვირთო საღ. 8 ს. ფოთიდან გამოვა დილის 7 საათ. 40 წ.

მ. 12 **ქუთაისიდან:**
დილის 8 ს. 15 წ. ქუთაისიდან გამოვა საღ. 10 საათ. 33 წ.

მ. № 20 **ბორჯომიდან**
დღის 7 ს. 20 წ. ბორჯომიდან გამოვა ღამ. 12 ს. 46 წ.

ბ ა ქ ო დ ა ნ

მ. № 3 სატვირთო დღის 4 ს. 30 წ.
მ. № 5 სასწრაფო დილის 7 ს.
მ. № 7 სამგ. განჯიდან დილ. 8 ს. 30 წ.
მ. № 5 პლაცკარტიანია; პლაცკარტის ფასი 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მან., 3 კლ. 20 მ.

ნახიჩევანიდან და ყარსიდან

მ. № 3 სატვირთო—დილ. 11 ს. 30 წ.
ამათ გარდა კვირა უქმე დღეებში.

თბილისსა და მცხეთის შუა

იქნება შემდეგი მატარებ. მიმოსვლა.

მ. № 61 **თბილისიდან**
დილის 7 ს. 37 წ.
მ. № 63 დღის 3 ს.

მცხეთიდან მოდის

მ. № 62 დილის 11 ს. 10 წ.
მ. № 64 საღამოს 7 ს. 20 წ.

კახეთის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა. პირველ მაისიდან 1919 წლისა.

საათები ნაჩვენებია თბილისის დროით.

თბილისიდან-მელაანამდე.

საგარეჯო მატარ. № 16. თბილისიდან გადის დილის 7 საათზე მელაანში მიდის 12 საათზე და 50 წუთზე.

საგარეჯო მატარ. № 15 მელაანში უერთდება სატვირთო მატარ. № 3 და გამოდის იქიდან ნაშუადღევის 1 საათზე და 40 წუთზე.

თბილისიდან-თელავამდე.

სატვირთო მატარ. № 4. თბილისიდან გადის დილის 10 საათზე თელავში მიდის 7 საათზე და 35 წ.

თელავიდან-თბილისამდე.

სატვირთო მატარ. № 3. თელავიდან გამოდის დილის 9 საათზე და 30 წუთზედ მელაანში უერთდება საგარეჯო მატარებელს № 15 და მოდის თბილისში საღამოს 7 საათზე და 15 წუთზე.

გურჯაანიდან-წნორის-წყლამდე.

მატარებ. № 6. გურჯაანიდან გადის საღამოს 6 საათზე წნორის-წყალში მიდის საღამოს 7 საათზე.

წნორის-წყლიდან-გურჯაანამდე.

მატარებელი № 5. წნორის-წყლიდან გამოდის დილის 9 საათზე და 50 წუთზე გურჯაანში მიდის დილის 11 საათზე.

(2—54—2)

ექიმი

ა. მ. პაატაშვილი

იღებს შინაგან და ბავშთა სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე, გარდა შაბათისა, საღამოს 5—7 საათამდე, გუნიბის ქუჩა № 43 (ყაზბეგის და გუნიბის ქუჩ. კუთხე, სახლი კახიძისა).

(25—2324—2)

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა

გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენიოდი და არსევალის ტონკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 24—1

7—92.

სამკურნალო კაბინეტი ექიმის ალექსანდრე დავითის ძის

კიკოლიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს 5 საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

მედიცინის ექიმი

ე. ა. მონსე

ნერვიული, შინაგანი და საბავშო სნეულებანი. მკურნალობა ელექტრონით. სიმსუქნის მკურნალობა ბერგონიეს აპარატით, სისხლის მკურნალობა ლინდემანის აპარატით; ფსიხოთერაპია, ჰიპნოზი. მიღება 10 ნახ. ს. დღ. საღამოს 6—7 ს. ყოველდღე, კვირის და ხუთშაბათის საღამოს გარდა. მიხეილის პროსპ. № 111. ტელეფონი 13 42.

50—2119—47

სამხედრო სამინისტროს სტამბა. ლორის მელიქოვის ქუჩა № 3.